აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია

2021–2027 წწ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის და ხარისხის გაუმჯობესება თავისი ძლიერი, რესურსებით მდიდარი და მეწარმე თემების ძალისხმევით, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების გზით და სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული, დივერსიფიცირებული სოფლის ეკონომიკის მეშვეობით“

2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია მომზადებულია „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის – ENPARD აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის“ ფარგლებში – „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში „სოფლის განვითარების გაუმჯობესების“ პროექტის მეშვეობით, რომელიც ევროკავშირისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ არის დაფინანსებული და ახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP).

ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

წინასიტყვაობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის“ (ARDSAAR) წინამდებარე დოკუმენტი 2021-2027 წლების პერიოდს მოიცავს. მისი უპირველესი დანიშნულებაა, განსაზღვროს ძირითადი მიმართულებები შესაბამისი დაკავშირებული მხარეებისთვის, კერძოდ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს“ წევრებისათვის და მხარი დაუჭიროს მათ ძალისხმევას „2021-2027 წლების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის“ შემუშავებისათვის, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ეროვნულ სტრატეგიასთან (2021-2027) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონკრეტულ საჭიროებებთან.

აბრევიატურები

AJARA	AR Ajara Autonomous Republic /აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკა
AMAG	Union of Active Citizens / აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება
ASC	Advisory Service Centres / საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები
BBI	Batumi Business Incubator / ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი
CoC	Chamber of Commerce / სავაჭრო პალატა
DCTFA	Deep Comprehensive Free Trade Agreement / ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
ENPARD	European Neighbourhood Program for Agriculture and Rural Development / სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
FAO	Food and Agriculture Organization / გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
GeoStat	National Statistics office of Republic of Georgia / საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
IACC	Inter agency coordination council / უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო
MEPA	Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia / საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
IC	Information Centres / საინფორმაციო ცენტრები
LAG	Local Action Group / ადგილობრივი განვითარების ჯგუფი
LEPL	Legal Entity of Public Law / სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEADER	Liason Entre Actions de Development de L'Economic Rural სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი
MOAA	Ministry of Agriculture Ajara / აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
RDC	Rural Development Council / სოფლის განვითარების საბჭო
RD	Rural Development / სოფლის განვითარება
RDS	Rural Development Strategy / სოფლის განვითარების სტრატეგია
SWOT	Strengths, Weakness, Opportunities, Threats / ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი
ToR	Term of Reference / ტექნიკური დავალება
UNDP	United Nations Development Program / გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა
VEC	Vocational Education Committee / პროფესიული განათლების კომიტეტი
WG	Working Group / სამუშაო ჯგუფი

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

აბრევიატურები 4

სარჩევი 6

რეზიუმე 7

1. შესავალი 14

2. ზოგადი ინფორმაცია 18

2.1 სიტუაციური ანალიზი 19

2.2 ეკონომიკური მიმოხილვა 22

2.3 გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები 24

2.4 მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობა 26

3. მთავარი გამოწვევები 28

4. SWOT ანალიზი 31

4.1 ძლიერი მხარეები 31

4.2 სუსტი მხარეები 32

4.3 შესაძლებლობები 33

4.4 საფრთხეები 35

5. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხედვა 36

6. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ჩარჩო 38

6.1 პოლიტიკა და მმართველობა 38

6.2 ინსტიტუციური დაინტერესებული მხარეების ფუნქციები 41

6.2.1 სოფლის განვითარების საბჭოს მუშაობაში ჩართულ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებას შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის ამჟამინდელი განაწილება 41

6.2.3 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვის მიმოხილვა 42

6.2.3.1 სოფლის განვითარების პრიორიტეტების სტრუქტურა და თანმიმდევრობა 44

6.2.3.2 სტრატეგიის წინასწარი შეფასება, რომელიც იძლევა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ახალი სტრატეგიის, სტრუქტურისა და თანმიმდევრობის სხვადასხვა მოსალოდნელი ზეგავლენის ანალიზის შესაძლებლობას 46

6.2.4 სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიული განვითარების პროცესი 46

6.3 სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის როლები 48

6.4 თემზე დაფუძნებული მიდგომის როლი – ადგილობრივი განვითარების ჯგუფები და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები 49

7. ინსტიტუციური დაინტერესებული მხარეები 51

7.1 საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 51

7.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 51

7.2.1 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – მუნიციპალიტეტები 53

7.3 სამოქალაქო საზოგადოება 54

7.4 კერძო სექტორი 54

7.4.1 აგრო სერვის ცენტრი 55

7.4.2 საინფორმაციო საკონსულტაციო მომსახურება 56

7.4.3 აგრობიზნესი (რესურსების მიწოდება, დამატებული ღირებულება და დამუშავება, პროდუქციის შენახვა და გაერთიანება) 56

7.4.4 კოოპერატივები და მწარმოებელთა ორგანიზაციები 65

7.4.5 პროფესიული განათლება და გადამზადება 57

8. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პრიორიტეტები და ღონისძიებები 60

8.1 მიზანი #1 – დივერსიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა, გაზრდილი პროდუქტიულობა მესაქონლეობაში; გაძლიერებული საბაზრო კავშირები 64

8.1.1 ამოცანა – სოფლის მეურნეობის გაზრდილი პროდუქტიულობა და მეწარმეობის დივერსიფიკაცია, კონკურენტუნარიანობის და საბაზრო კავშირების გაუმჯობესება 65

8.1.2 ამოცანა. განვითარებულია აგრეგაციის, კონსოლიდაციის და ლოგისტიკის ცენტრების ოპერაციული მუშაობა, პირველადი და მეორადი გადამუშავება 66

8.1.3 ამოცანა – არაფერმერული შემოსავლის და საარსებო წყაროების გაზრდა 67

8.1.4 ამოცანა – მწარმოებელთა გაუმჯობესებული და გაძლიერებული ორგანიზაციული სტრუქტურები და განვითარებული ბაზრის ინფრასტრუქტურა 68

8.2 მიზანი #2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, პროცესში ადგილობრივი თემების ჩართულობის გაძლიერების გზით 68

8.2.1 ამოცანა. სატყეო და არამერქნული წარმოების, გაუმჯობესებული მართვა და გამოყენება; ასევე, მათი კავშირი ბაზართან. 68

8.2.2 ამოცანა – სოფლის ტურიზმის, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების, ტურისტული პაკეტების და სერვისების განვითარება 69

8.3 მიზანი #3. სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი თემები, რომლებიც ჩართულნი არიან მომსახურებების, ინფორმაციის, ინფრასტრუქტურისა და ბაზრებზე წვდომის დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში 69

8.3.1 ამოცანა. საგანმანათლებლო, ინფორმაციულ კულტურულ და საკონსულტაციო სერვისებზე და ახალ ტექნოლოგიებზე წვდომა და გამოყენება....69

8.3.2 ამოცანა – ფუნქციონირებადი სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი ორგანიზაციული სტრუქტურები და პლატფორმები (აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები)....70

9. რისკების შეფასება 71

9.1 ინსტიტუციური დონე 71

9.2 პოლიტიკური რისკები 71

9.3 ეკონომიკური რისკები 71

9.4 სოციალური რისკები 72

9.5 ფინანსური რისკები 72

9.6 გარემოსდაცვითი რისკები 73

10. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 74

10.1 მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემა 74

გამოყენებული წყაროები 77

რეზიუმე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის განხორციელების ძირითადი მოსალოდნელი შედეგია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო დასახლებების ხედვის განხორციელება, რაც გულისხმობს **„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტი და ხარისხი გაუმჯობესებულია აქტიური, რესურსების მქონე და ინიციატივიანი სასოფლო თემების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების და სოფლის მეურნეობაზე დამყარებული სოფლის დივერსიფიცირებული ეკონომიკის წყალობით“.**

ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინით „სოფლის განვითარება“; და ამ სტრატეგიის მიზნებისთვის ის წინამდებარე დოკუმენტში განისაზღვრება, როგორც **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებისა და სოფლის მსგავსი დასახლებების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მისი მოსახლეობის სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მისწრაფებების შესაბამისად, რათა მათ შეძლონ ცხოვრების მაღალი დონით და ხარისხით სარგებლობა და საარსებო საშუალებების მოპოვება მათი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების საფუძველზე და მათთვის უზრუნველყოფილი იქნეს უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, რათა მათ სურვილისამებრ ჰქონდეთ საშუალება, ჩაერთონ სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკაში.**

სტრატეგიის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს წევრებისთვის გზამკვლევის (იხ. სურ. 5) შექმნა, რომელიც მათ მთავარი პროგრამების და სოფლის განვითარების ინდიკატორების დაგეგმვასა და ხედვის შემუშავებაში დაეხმარება. ეს სტრატეგია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების ეროვნულ სტრატეგიას შეესაბამება და ერთგვარად ავსებს მას, რადგან მისი ინტერვენციების ძირითადი სფეროები და მიზნები ამ უკანასკნელთან ჰარმონიზებულია და ცდილობს ის პროგრამები და ღონისძიებები გამოიყენოს, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირობებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. სტრატეგია ემყარება წინა გამოცდილებას და მიღებულ გაკვეთილებს და ფოკუსირებულია ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო და სოფლის სექტორის პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა, უზრუნველყოფილი იქნეს მწარმოებლების წვდომა ინფორმაციაზე, ტექნოლოგიასა და ტექნიკურ გამოცდილებაზე საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების ქსელის (ფილიალების) და შესაბამისი მუნიციპალური ოფისების დახმარებით, რაც ერთმანეთთან დააკავშირებს გამოყენებით კვლევებს, ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების კვლევებს ასევე რესურსებს და ახალ ტექნოლოგიურ აღმოჩენებს, ფერმერების და სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სპეციალისტების/კონსულტანტების შესაძლებლობების გაძლიერებასთან და სათანადო ტრენინგების მიწოდებასთან. ეს შესაძლებელია უშუალოდ ობიექტებსა და ფერმებში სადემონსტრაციო ჩვენებების მოწყობით და უახლეს ტექნიკურ

ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფით, მედია საშუალებებისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რისი კარგი მაგალითია მათი ონლაინ პორტალის ქსელი.

საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების ხელმისაწვდომობა და მათი მომსახურებების გამოყენება, მათთან დაკავშირებული ვეტერინარული კლინიკებისა და კონსოლიდაციისა და ლოგისტიკური ცენტრების ჩათვლით, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული რესურსია პროდუქციის საბაზრო ჯაჭვის და ამ ჯაჭვში არსებული იმ კრიტიკული კავშირის ხელშეწყობისთვის, რომელიც საჭიროებს შემდგომ განმტკიცებას და აღნიშნული კონსოლიდაციისა და ლოგისტიკური ცენტრების ამუშავებას ისე, რომ მათი პოტენციური მომსახურებები და რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს მწარმოებლებისთვის და მიკრო და მცირე ზომის საწარმოებისთვის. ლოჯისტიკისა და კონსოლიდაციის ცენტრების შემთხვევაში მათი ფუნქციონირების ხელშეწყობა შესაძლებელია სხვადასხვა გზებით, როგორიცაა, მაგალითად, პირდაპირი მიყიდვა ფერმერებისთვის, მწარმოებელთა ჯგუფებისთვის, კოოპერატივებისთვის, შესაძლო გრძელვადიანი ლიზინგი, მოკლევადიანი სეზონური საიჯარო ხელშეკრულებები და/ან ასევე შეიძლება ერთობლივი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის შესწავლაც.

სტრატეგია განსაზღვრავს შემდეგ პრიორიტეტულ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მდგრადი სოფლის ეკონომიკის განვითარებას, რაც როგორც ეროვნული სტრატეგიის ამოცანებს, ასევე ევროკავშირის სოფლის განვითარების სტრატეგიის ექვს ძირითად პრიორიტეტს შეესაბამება (იხ. ცხრილი 3).

ეს მიზნებია:

1. სოფლის დივერსიფიცირებული და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შემდგომი განვითარება (მისი სასოფლო-სამეურნეო ბაზის აღიარება), რომელიც სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის მდგრად საარსებო წყაროებს უზრუნველყოფს;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება; და
3. აქტიური და მდგრადი თემები, რომლებიც ჩართულნი არიან დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში და რომელთათვის ხელმისაწვდომია მომსახურებები, ინფორმაცია, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, საკომუნიკაციო საშუალებები და ბაზრები.

თითოეული მიზნის მისაღწევად რამდენიმე ამოცანა და ღონისძიებაა განსაზღვრული (თავი 8), რომლებმაც უნდა უზრუნველყონ თითოეული მიზნის მიღწევა:

1-ლი მიზნის მისაღწევად: სოფლის უფრო დივერსიფიცირებული ეკონომიკა, პროდუქტიული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა, გაზრდილი პროდუქტიულობა მესაქონლეობაში, გაძლიერებული კავშირები ბაზრებთან, დაგროვების, კონსოლიდაციისა და ლოგისტიკის ცენტრების ამოქმედება; პირველადი და მეორადი გადამუშავების განვითარება; რაც სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის მდგრად საარსებო წყაროებს უზრუნველყოფს; გაუმჯობესებული არა ფერმერული შემოსავლებისა და საარსებო წყაროების შესაძლებლობები; მწარმოებელთა

გაუმჯობესებული ორგანიზაციული სტრუქტურები და განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურა.

მე-2 მიზნის მისაღწევად: ტყის და არამერქნული რესურსების (სამედიცინო და არომატული მცენარეების ჩათვლით) გაუმჯობესებული მართვა და გამოყენება; ბუნებრივი საძოვრების უკეთესი მოხმარება და მართვა. სოფლის და ალტერნატიული ტურიზმის განვითარება; ინვესტიციები ადგილობრივ ინფრასტრუქტურაში, ტურისტული პაკეტები და განვითარებული სერვისები.

მე-3 მიზნის მისაღწევად: ძირითადი ამოცანებია პროფესიულ მომზადებაზე, საინფორმაციო და საკონსულტაციო, კულტურის, ჯანმრთელობისა და სოციალურ მომსახურებებზე წვდომის გაუმჯობესება და ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება; სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი ინსტიტუციური სტრუქტურებისა და პლატფორმების (მაგალითად აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანებების (AMAG's) და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG's) გაძლიერება და ამოქმედება; მათი სრული პოტენციალის რეალიზება და არსებული შესაძლებლობების გამოყენება ადგილობრივი სირთულეების დასაძლევად.

სტრატეგიის განხორციელების წარმატებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი საკითხია ყველა დაინტერესებული მხარის ძლიერი **„მოტივაცია“** და **„ადგილობრივი პასუხისმგებლობა“** („ქვემოდან ზემოთ“ ჩართვით და პასუხისმგებლობით) და ძლიერი და ეფექტიანი კოორდინირებისა და ხელმძღვანელობის საჭიროება, ამ შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს მხრიდან. სოფლის განვითარების საბჭოში უნდა არსებობდეს მკაფიოდ დადგენილი და შეთანხმებული როლები და პასუხისმგებლობები მისი წევრებისა და საქმიანობისთვის. სტრატეგიის განხორციელების კოორდინირებისა და მართვისთვის ასევე მნიშვნელოვანია სოფლის განვითარების საბჭოს უნარი, უზრუნველყოს თავისი თანამშრომლებისთვის მიმდინარე მენტორობა და კვალიფიკაციის ამაღლება. სოფლის განვითარების საბჭოს უნდა მიენიჭოს სტრატეგიის განხორციელების სრული კოორდინირების უფლებამოსილება და შესაძლებლობა, მას უნდა შეეძლოს თავისი წევრებისთვის დავალებების მიცემა და მათგან უკუკავშირის მოთხოვნა ინფორმაციის გაზიარებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრის მიზნით. გარდა ამისა, საბჭომ უნდა უზრუნველყოს ყოვლისმომცველი ჩარჩო და მექანიზმი, რომლის მეშვეობით შესაბამისი წევრები, როგორც ერთიანი ორგანო, შეძლებენ პროგრამების ერთობლივად ჩამოყალიბებას და სოფლის განვითარებისთვის საჭირო ზომების მიღებას, და ამით უნდა მოახდინოს სოფლის განვითარების სფეროში თავისი როლის შემდგომი ოპტიმიზაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიამ უნდა აირჩიოს ზომიერი, მაგრამ გაბედული მიმართულება, რომელიც, შეეხება ისეთ რთულ საკითხებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობის სტრუქტურული ხასიათი, კერძოდ, მიწის საკითხები – კადასტრი, მიწის რეგისტრირება, საკუთრება, გამოყენება, იჯარით გაცემა, გაქირავება და გაყიდვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგიამ უნდა შეაფასოს და გადადგას გაბედული ნაბიჯები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მიწის საკუთრება, გამოყენება და საწარმოო მიზნებისთვის სახელმწიფო მიწების ხელმისაწვდომობა, მიწის რეგისტრირება. აღნიშნული სტრუქტურული საკითხები მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რომლებიც ნაკლებად დინამიური სოფლის

მეურნეობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია, და ამ გამოწვევების მოგვარება მომავალში ხელს შეუწყობდა სექტორის მეტ დინამიურობას და კონსოლიდაციას, ასევე მიწით ვაჭრობის და საწარმოო ერთეულების გაფართოების შესაძლებლობას. ამას გარდა, იმ ადამიანების მოტივირება, რომლებსაც არ სურთ სოფლის მეურნეობაში მუშაობა, სწორედ მიწით ვაჭრობის, ბაზრის, მიწის გაქირავება-იჯარით გაცემის მეშვეობით არის შესაძლებელი.

2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისას, სოფლის განვითარების საბჭომ შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს ცვლილების თეორიაზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ძირითად ელემენტებს ეყრდნობა.

შეიძლება ითქვას, რომ სოფლის განვითარების სტრატეგიის ცვლილებების თეორია ეყრდნობა სამ პრიორიტეტულ სფეროს[1]: 1. სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსები; 2. ტურიზმი, ახალგაზრდობა და კულტურა; და 3. ინფრასტრუქტურა, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური.

> თუ:
>
> ***საკონსულტაციო და სასოფლო ბიზნესის მხარდამჭერი სერვისები გაძლიერებულია, გაფართოებულია და გაუმჯობესებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა, ასევე გაუმჯობესებულია საბაზრო ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობებზე წვდომა, და უფრო მეტადაა განვითარებული და გაფართოებული როგორც ფერმერული, ასევე არა ფერმერული საწარმოების დივერსიფიცირება,***
>
> ***და***
>
> ***თუ:***
>
> ***როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო (პროფესიული) უნარების სწავლება ხორციელდება ხელმისაწვდომი პრაქტიკული კურსების დახმარებით და სადემონსტრაციო და მენტორული პროგრამების გამოყენებით, რომლებიც ახდენენ საუკეთესო პრაქტიკის, მათ შორის მეწარმეობის განვითარების და ბიზნესისთვის აუცილებელი უნარების განვითარების მხარდაჭერის და საბაზრო შესაძლებლობებზე წვდომის, დემონსტრირებას როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისა და ახალგაზრდებისთვის,***
>
> ***და***
>
> ***თუ:***
>
> ***ბუნებრივი რესურსების ბაზის (საძოვრები, ტყეები და ლანდშაფტის გამოყენება) მართვა გაძლიერებულია და გაუმჯობესებულია ბენეფიციარების (სასოფლო თემების/მუნიციპალიტეტების) შესაძლებლობა, მართონ შემოსავლების გენერირების წყაროები (მათ შორის ალტერნატიული ტურიზმი, ტრადიციული ფერმერული და არატრადიციული საწარმოები, ნიშური პროდუქტების განვითარება, პირველადი დამუშავება) და მოახდინონ მათი დივერსიფიცირება, და თუ გაღრმავებულია ადგილობრივი თემების ჩართულობა ადგილობრივი ქმედებების იდენტიფიცირებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში ისეთი პლატფორმების***

[1] პრიორიტეტული სფეროები სოფლის განვითარებისთვის დადგენილი ფართო სფეროებია, რომლებზეც უნდა მოხდეს ფოკუსირება. აღნიშნულ სამ პრიორიტეტულ სფეროში დადგენილია სამი მთავარი მიზანი აჭარის 2021-2027 წლების სოფლის განვითარების სტრატეგიისთვის (იხ. გვ. 10)

დახმარებით, როგორიცაა ადგილობრივი განვითარების ჯგუფები და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები,

<u>მაშინ:</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო თემებს ექნებათ უფრო ფართო შესაძლებლობები ინსტრუმენტებსა და სერვისებზე გაუმჯობესებული წვდომისა და მათი გამოყენების და გაუმჯობესებული უნარების შეძენის მეშვეობით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საარსებო წყაროების უფრო ფართო არჩევანის წარმოქმნას, სოფლის მეურნეობის უფრო მეტად დივერსიფიცირებას და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, გაძლიერებული კავშირებით ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებთან; ეს კი განაპირობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში მცხოვრები თემებისთვის მდგრადი საარსებო წყაროების შექმნას.

1. შესავალი

ტერმინს „სოფლის განვითარება“ მრავალი განმარტება აქვს. თუმცა ამ შემთხვევაში, წინამდებარე სტრატეგიის მიზნებისათვის, ის განისაზღვრება როგორც **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო ადგილების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მისი მოსახლეობის სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მისწრაფებების შესაბამისად, რათა მათ შეძლონ ცხოვრების მაღალი დონით და ხარისხით სარგებლობა და საარსებო საშუალებების მოპოვება არსებული ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების საფუძველზე მათთვის უზრუნველყოფილი იქნეს უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, ამასთან ერთად, მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საშუალება თავისი სურვილის შესაბამისად ჩაერთოს სხვადასხვა, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სხვა სახის ეკონომიკურ აქტივობებში.**

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის მიზანია სტრატეგიულ ღონისძიებათა გეგმის უზრუნველყოფა, თუ როგორ უნდა იმუშაოს აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ (კერძოდ, სოფლის განვითარების საბჭომ) მომავალში იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ქმედითი, მდგრადი და ინკლუზიური სოფლის ეკონომიკა, ხოლო მისი ხედვის – **„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტი და ხარისხი გაუმჯობესებულია აქტიური, რესურსების მქონე და ინიციატივიანი სასოფლო თემების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების და სოფლის მეურნეობაზე დამყარებული სოფლის დივერსიფიცირებული ეკონომიკის წყალობით“** საფუძველზე შესაძლებელია მიღებული გაკვეთილების და აქამდე მიღწეული პროგრესის უფრო ნაყოფიერად გამოყენება და ჩარჩოს შექმნა, რომელსაც მისი შედარებითი უპირატესობების გამო დაეყრდნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია ხედვა: **„მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიცირება/განვითარება, სოციალური მდგომარეობის და ცხოვრების დონის გაუმჯობესება სოფლად“**[2] ეს ორი ხედვა შესაბამისობაშია ერთმანეთთან, ჰარმონიზებულია და ავსებს ერთმანეთს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია (2021-2027) ყურადღებას შემდეგ სამ მიზანზე ამახვილებს:

1. **მიზანი 1:** კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები;
2. **მიზანი 2:** ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
3. **მიზანი 3:** სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემების დანერგვა და ფიტოსანიტარიული ზომების განხორციელება.

[2] წყარო: 2019 წლის აპრილი (დოკუმენტის პროექტი) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია, 2021-2027

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნები ასევე შეესაბამება და ჰარმონიზებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიასთან, რომლის მიზნებია:

- სოფლის განვითარების მხარდაჭერის სერვისების, განათლებისა და ტრენინგის გაუმჯობესება და ისეთ ინფორმაციაზე წვდომა, რომელიც ხელს შეუწყობს სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდას;
- ცხოვრების სტანდარტების და შემოსავლის წყაროების შესაძლებლობათა გაუმჯობესება;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა (როგორც ფიზიკური, ასევე საინფორმაციო);
- ბუნებრივი რესურსების გაუმჯობესებული მართვა და გამოყენება, ტურიზმის სექტორთან დაკავშირება და სასოფლო ადგილებში ალტერნატიული ტურიზმის (კულტურული, კულინარიული, აგრო, ეკო, სათავგადასავლო, სპორტული, სახელობო და წვრილი წარმოება...) განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიზის დეპარტამენტმა[3] ყურადღება შემდეგ სფეროებზე გაამახვილა:

- ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი და მდგრადი მართვის და გამოყენების გაუმჯობესება;
- სოფლის განვითარების მხარდაჭერის სერვისების გაწევის გაუმჯობესება და მათი მასშტაბის გაზრდა როგორც ტექნიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით;
- თემის ორგანიზაციული სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება; უპირველეს ყოვლისა ეს ეხება აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფებს და მათ თანამშრომლობას და ურთიერთობას ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ სამთავრობო დაწესებულებებთან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული დეპარტამენტი, სხვა საკითხებთან ერთად, პასუხისმგებელია შემდეგზე:

- გაუმჯობესებული ტექნოლოგიების შემოღება სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებისა და წარმოების შემდგომ დონეებზე, კვების როგორც ახალი, ასევე ტრადიციული პროდუქტების პირველადი და მეორადი დამუშავების დანერგვა, მარკეტინგი და ინფორმაციის გაზიარება;
- მწარმოებელთა ჯგუფების, ფერმერთა ასოციაციების და კოოპერატივების ჩამოყალიბება უფრო ეფექტიანი ფუნქციონირების და წარმოების ბაზის დივერსიფიცირების, ღირებულების დამატების, ბაზარზე შეღწევის გაუმჯობესების და დასაქმების შესაძლებლობების შექმნის მიზნით, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდებისთვის.

[3] სოფლის მეურნეობის სამინისტრო www.moa.ge

ეს ყველაფერი გაერთიანებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის (2021-2027) უფრო ფართო სამ მიზანში:

მიზანი 1. დივერსიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა და გაძლიერებული საბაზრო კავშირები, მსხვილფეხა საქონლის ნაყოფიერების და პროდუქტიულობის გაზრდა. ეს მიზანი შესაბამისობაშია სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მართვის პრიორიტეტთან (იხ. სურ. 5, სურ. 6.1).

მიზანი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება პროცესში ადგილობრივი თემების ჩართულობის გაძლიერების გზით. ეს მიზანი შესაბამისობაშია ტურიზმის, კულტურის, ახალგაზრდობის და მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტთან (იხ. სურ. 5, სურ. 6.1).

მიზანი 3. აქტიური და მდგრადი თემები, რომლებიც ჩართულები არიან დაგეგმვასა და გადაწყვეტილებათა მიღებაში და რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია მომსახურებები, ინფორმაცია, ინფრასტრუქტურა და ბაზრები; ეს მიზანი შესაბამისობაშია ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის პრიორიტეტთან (იხ. სურ. 5, სურ. 6.1).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შედარებითი უპირატესობები მოიცავს მის ბიომრავალფეროვნებას, მრავალფეროვან სოფლის მეურნეობას, ტურიზმის პოტენციალს (მთა და სანაპირო ზოლი), განსაკუთრებით კი მის მოსახლეობას და თემებს როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში, რომელთაც შეუძლიათ დამატებითი წვდომის მოპოვება ინფორმაციაზე, ტექნოლოგიებსა და ბაზრებზე და უკეთესი წილის მიღება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. ეს ყველაფერი და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, რაც განაპირობებს მდგრადი საარსებო წყაროების წარმოქმნას სასოფლო თემებისთვის და არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლების მიღების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, სოფლის განვითარების მხარდაჭერის სერვისებზე (სოციალური და ეკონომიკური) წვდომის გაუმჯობესებას, ინფორმაციის, ტექნოლოგიის და უნარების შეძენას, შედეგად მოიტანს სოფლის ქმედითი და მდგრადი ეკონომიკის განვითარებას.

მოცემული სტრატეგია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და დონორების მხარდაჭერით ადრე განხორციელებულ ღონისძიებებს ემყარება და მიზნად ისახავს: 1) პროდუქტიულობის გაუმჯობესებას; 2) სოფლის მეურნეობისა და სასოფლო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას; და 3) სოფლის მეწარმეობის დივერსიფიცირების გაუმჯობესებას სოფლის განვითარების მხარდაჭერის სერვისებზე (როგორც ბიზნესის, ისე სოციალური დახმარების სერვისების) წვდომის გაუმჯობესებით და მათი უკეთ გამოყენებით, გაუმჯობესებული უნარების დაუფლებით, ადგილობრივი გადაწყვეტილებების, პლატფორმებისა და მექანიზმების ჩამოყალიბებით, სადაც თემები მთლიანად იქნებიან ჩართული გამოწვევების დაძლევასა და შესაძლებლობების შექმნაში (მაგალითად, აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფების და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების, როგორც პლატფორმების,[4] როლი, ასევე მათი როლი თემების საჭიროებებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილებაში ადგილობრივი მთავრობის ჩართვაში).

[4] უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფებისა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების პლატფორმები არ არის მხოლოდ პლატფორმები: ისინი მოქალაქეებს უქმნიან საკუთარი აზრის გამოთქმის და ადგილობრივ განვითარებაში მონაწილეობის და ჩართვის შესაძლებლობას. მოქალაქეებს შეუძლიათ თავიანთი წვლილის შეტანა და მონაწილეობა მიუხედავად იმისა, არიან თუ არა მოცემული აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფებისა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების წევრები. ზემოხსენებული პლატფორმები, უპირველეს ყოვლისა, არის პლატფორმები ადგილობრივი თემის და მუნიციპალიტეტის დონეებზე, რომელთა მიზანია ადგილობრივი მოქალაქეების ჩართვა პროცესებში.

სტრატეგია განსაზღვრავს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, მათ როლებსა და პასუხისმგებლობებს და დარგობრივ სამინისტროებსა და სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის საჭირო თანამშრომლობის, ინტეგრირებისა და ჰარმონიზების დონეებს სოფლის მდგრადი განვითარების ისეთი სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად, რომელშიც ჩართული და პასუხისმგებლობას აიღებენ საბოლოო ბენეფიციარები, ანუ სასოფლო თემები. ***აქტიური სასოფლო თემების მდგრადობისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სუბსიდიარობის პრინციპი[5], ადგილობრივი „დაინტერესების" ხელშეწყობა და ადგილობრივი პასუხისმგებლობა განვითარებისკენ მიმართულ ძალისხმევაზე, რომელსაც მტკიცე საბაზრო საჭიროებები ედება საფუძვლად.***

ეს თემა გასდევს მთელ სტრატეგიას და ყურადღება გამახვილებულია, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის, პასუხისმგებლობის და, საბოლოოდ, ***„დაინტერესების"*** მიღწევა სასოფლო თემების და ადგილობრივი მთავრობის მიერ. სტრატეგიისთვის ასევე კრიტიკულია ინვესტიციათა სასოფლო რეგიონებში მიზიდვის საკითხი. სტრატეგიის ***მომავალი სამოქმედო გეგმის*** არსებითი ელემენტია სოფლის განვითარების ძირითადი პროგრამების იდენტიფიცირება, რომლებიც მოიცავს განათლებას, ჯანმრთელობას და სოციალურ მომსახურებებს, სოფლის მეურნეობას, ეკონომიკის განვითარებას, გარემოს და ბუნებრივი რესურსების მართვას და თითოეულ პროგრამასთან და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ შესაბამის ზომებს.

სტრატეგიის მიზანია ღონისძიებათა გეგმის მომზადება, რომელსაც გაჰყვება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა დაგეგმვის, ბიუჯეტის შედგენის და შემდეგ იმგვარი სამოქმედო გეგმის შედგენისას, რომელიც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხედვის განხორციელებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ***„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტი და ხარისხი გაუმჯობესებულია აქტიური, რესურსების მქონე და ინიციატივიანი სასოფლო თემების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების და სოფლის მეურნეობაზე დამყარებული სოფლის დივერსიფიცირებული ეკონომიკის წყალობით".*** ეს კი შეიძლება განხორციელდეს მდგრადი და აქტიური სასოფლო თემებისთვის შესაძლებლობების და გაუმჯობესებული საარსებო წყაროებისუზრუნველყოფით. წინამდებარე დოკუმენტი შეიძლება გამოყენებული იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სამინისტროებისა და სასოფლო დასახლებების დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის, რადგან რეგიონი ემზადება შესაძლებლობათა შემდგომი განვითარებისთვის, რათა შეძლოს სოფლის განვითარების დაფინანსებული პროგრამის განხორციელება პროგრამა ENPARD-ის[6] მიერ დაფინანსებულ პილოტურ საქმიანობაზე დაყრდნობით და მისი მეშვეობით.

[5] სუბსიდიარობა სოციალური ორგანიზების პრინციპია, რომლის მიზანია სოციალური და პოლიტიკური საკითხების განხილვა იმ უახლოეს დონეზე, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათი გადაჭრა.

[6] ENPARD-European Neighbourhood Program for Agriculture and Rural Development – სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა

2. ზოგადი ინფორმაცია

სოფლის განვითარება[7], სოფლის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი როლის ჩათვლით, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მდგრადი განვითარების და ზრდის მთავარი კომპონენტია. რაც თანაბრად აღიარებულია როგორც ქართული მონაწილე მხარეების, ასევე საერთაშორისო პარტნიორების მიერ. ამას გარდა, აღნიშნული საკითხი ხაზგასმულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში (DFCTA), რომელიც 2014 წლის ივნისში ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-14-430_en.htm).

ასოცირების შესახებ შეთანხმების 333-ე მუხლი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ფარგლებში თანამშრომლობას ეხება. ასოცირების შესახებ შეთანხმების 332-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ***„მხარეები სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ითანამშრომლებენ, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის პროგრესული თავსებადობის მიღწევის მეშვეობით“.*** ამ კონტექსტის ფარგლებში, სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ხორციელდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კი გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით და ევროკავშირის ENPARD-ის I, II და III პროგრამის დაფინანსების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის დეკემბერში სოფლის განვითარების პირველი ეროვნული სტრატეგია (პროგრამა) დაამტკიცა, რომელიც 2017-2020 წლების პერიოდისთვის ქვეყნის ხედვას მოიცავს სოფლის განვითარების მთავარ სფეროებში, კერძოდ კი ადგილობრივი ეკონომიკის ზრდასა და დივერსიფიკაციას, სოციალური და საჯარო სერვისების გაუმჯობესებას, დასაქმების შესაძლებლობების ზრდასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას.

სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის მიღებასთან ერთად, ეროვნულ დონეზე შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (IACC), რომელსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგიის (2016-2020) დამტკიცებას მოჰყვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს შექმნა, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი თავმჯდომარეობს. ორივე ეს ორგანო, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო – (ეროვნულ დონეზე) და სოფლის განვითარების საბჭო (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე) მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც სტრატეგიის შემუშავებაში, ასევე სოფლის განვითარების პროგრამის განხორციელებისა და მართვის პროცესში.

[7] სოფლის განვითარებას ბევრი განმარტება აქვს, მაგრამ აქ აჭარის სოფლების განვითარება იგულისხმება, რაც შესაბამისობაშია მისი მოსახლეობის სოციალურ, კულტურულ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მისწრაფებებთან, რომლის შედეგადაც მათ ბუნებრივი რესურსების ბაზასთან შესაბამისი ცხოვრების სტანდარტი და ხარისხი ექნებათ. ასევე, მოსახლეობისთვის შესაძლებელი გახდება მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენება.

2.1 სიტუაციური ანალიზი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და მას სამხრეთით თურქეთი, დასავლეთით კი – შავი ზღვა ესაზღვრება. აჭარაში ექვსი ადმინისტრაციული ერთეულია. ხუთი მუნიციპალიტეტი და ერთი თვითმმართველი ქალაქი ბათუმი (იხ. რუკა #1) ეს ხუთი მუნიციპალიტეტია: ქედა, ქობულეთი, ხელვაჩაური, შუახევი, ხულო, რომლებიც სამ ეკოლოგიურ ზონას მოიცავს, კერძოდ, დასავლეთის მთებს, სანაპირო ზოლს და მთის ხეობებს.

სანაპირო ზოლი ბათუმს, ხელვაჩაურისა და ქობულეთის დასავლეთ მუნიციპალიტეტებს მოიცავს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობია 2,900 კვ.კმ, მოსახლეობა დაახლოებით 349,000 ადამიანი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე მშპ – 3,894.1 აშშ დოლარი. უმუშევრობის დონეა 9,1%, რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა კი არის 62,001[8]. თვითმმართველი ერთეულების და სოფლების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში #1. 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 44,5% სოფლებში ცხოვრობდა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების[9] საერთო ფართობია 72,862 ჰა, მათ შორის, დამუშავებული ნაკვეთები 10,309 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 15, 899 ჰა, სათიბი ფართობი 7,159 ჰა, საძოვრები 37,759 ჰა და დაუმუშავებელი მიწები 1,736 ჰა. რეგიონში სულ 115, 000 პირუტყვი, 50,000 ფრინველი და 19,000 ფუტკარია.

[8] წყარო: https://www.geostat.ge/regions/
[9] წყარო: აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი https://investinbatumi.ge/sectors/5/sagriculture/sid4

ცხრილი 1: თვითმმართველი ერთეულების და დასახლებების რაოდენობა, ტიპის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა[10]

დასახელება	რაოდენობა
მუნიციპალიტეტი	5
თვითმმართველი ქალაქი (ბათუმი)	1
ქალაქი	1
ადმინისტრაციული ცენტრი	5
სოფელი	333

აჭარის არ-ში სოფლის მეურნეობის ძირითადი საქმიანობებია ციტრუსის, ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა და მეცხოველეობა. მევენახეობა, მეთევზეობა, მარცვლეულის წარმოება და მეფუტკრეობა ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებად ითვლება, ხოლო ჩაის მოყვანა, აბრეშუმის წარმოება, თამბაქო და სამკურნალო მცენარეების მოყვანა – დამხმარე საქმიანობებად.

როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სოფლის განვითარებაზე გავლენას ახდენს ისეთი სტრუქტურული საკითხები, როგორიცაა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკლებობა და რთული რელიეფი და ის, რომ ოჯახების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები ძალზედ დანაწევრებულია. ასევე აღსანიშნავია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ბარიერები და ის, რომ ოჯახების მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები ძირითადად მცირე ზომისაა, რის გამოც სტრუქტურულ ცვლილებებს არ ექვემდებარება, რომელთა განხორციელება წარმოების უფრო კონკურენტუნარიანი სისტემის არსებობას უზრუნველყოფდა. ამას კიდევ უფრო ამყარებს მემკვიდრეობის გადაცემის თაობაზე, მთაში არსებული კულტურული ტრადიციები. 2004 წლის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერის მონაცემებით, შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საშუალო ზომაა 0.5 ჰა, ხოლო საშუალოდ ერთი ოჯახი 1.8 ჰა მიწის ნაკვეთს ფლობს[10]. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიამ მიწის საკუთრებასთან, გამოყენებასა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების სამეწარმეო მიზნით გამოყენებასთან, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები უნდა შეისწავლოს და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას მათ მოსაგვარებლად. ეს სტრუქტურული საკითხები მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რამდენადაც მათი არსებობა სოფლის მეურნეობის ნაკლებ დინამიურობას განაპირობებს და ამ საკითხების მოგვარება გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო აქტიური სექტორის განვითარებას უზრუნველყოფს. ეს კი ხელს შეუწყობს მიწების გაერთიანებას, მიწით ვაჭრობის განვითარებას და საწარმოო ობიექტების გაფართოებას. ხოლო იმ ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ სურვილი სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებულები, შესაძლებლობა ექნებათ დაკავდნენ მიწით ვაჭრობით, მიწის ბაზრით, ქირავნობით ან იჯარით.

[10] აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის ანგარიში, იანვარი 2014, UNDP

აჭარაში სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 47% კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაა; ეს ძირითადად მაღალმთიანი საძოვრებია. საშუალოდ ყველაზე დიდი ზომის ფერმა შუახევის მუნიციპალიტეტში არსებობდა (1.31 ჰა). თითო მოსახლეზე საშუალოდ ყველაზე მეტი მიწის ნაკვეთი იყო ხულოს (3) და ქედას (2,2) მუნიციპალიტეტებში. აჭარაში 88,500 ჰა მიწა ძირითადად მიწათმოქმედებისთვის გამოიყენება, აქედან 7,100 ჰა სათიბია. ქობულეთის მუნიციპალიტეტი პირველ ადგილზეა მრავალწლიანი ნარგავებით დაფარული მიწის ნაკვეთების (8,400 ჰა) და კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთების (9,700 ჰა) ფართობის მიხედვით; ხულოს მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები (27,700 ჰა), სათიბები (4,200 ჰა), საძოვრები (15,000 ჰა) და კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები (6,000 ჰა); შუახევის მუნიციპალიტეტში კი ყველაზე მეტი საძოვრებია (10,500 ჰა)[11].

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განაწილება მიწის ნაკვეთის ზომის მიხედვით ნაჩვენებია #1 სურათზე[12]. გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა, მიწის ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მფლობელობაშია. ეს დაახლოებით 14,5 ათას ჰექტარს შეადგენს და ამ მიწას აქვს პოტენციალი, რომ გამოყენებული იყოს სოფლის მეურნეობისთვის, თუ ის კერძო სექტორს გადაეცემა შეთანხმებული პარამეტრების საფუძველზე (ასეთი მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობას, გრძელვადიან საიჯარო შეთანხმებებს, ერთობლივ საწარმოებს, პირდაპირ გაყიდვას, საწარმოსთვის იჯარით გადაცემას და ა.შ) და აქ საინვესტიციო პროექტები განხორციელდება[13].

სურათი 1. მოქალაქეების მიერ რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფრაგმენტაცია

აჭარის რეგიონში კერძო პირებზე (მოქალაქეებზე) რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაყოფის მაჩვენებელი (ათასობით ჰა)



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტოპოგრაფია და რელიეფი მთავარი ფაქტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

[11] წყარო: აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020
[12] აჭარის სოფლის მეურნეობის სტრატეგია 2017-2020
[13] აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020

ცხრილი 2: აჭარის ტოპოგრაფია[14]

ფერდობები და მთები	80 %
დაბლობი	5 %
ბორცვები	15 %
მიწათსარგებლობის კატეგორიზაცია	
სატყეო ნაკვეთი	65 %
სამეურნეო ნაკვეთები	9 %
საძოვრები	15.6 %
ჭაობები	1.4 %
დასახლებები	2.7 %
სხვა	6.3 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სანაპირო ზონისთვის დამახასიათებელია თბილი, ძალიან ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატი, მთაში კი ნოტიო, ზომიერად თბილი და ცივი კლიმატია. 1970-იან წლებამდე საშუალო წლიური ტემპერატურის დიაპაზონი იყო 14.5^{0}C (ბათუმი) – 2.4^{0}C (გოდერძის უღელტეხილი). წლიური ნალექები დაბლობში 2,600 მმ-ს აღწევდა, ხოლო ალპურ ზონაში 1,500 მმ-ს.

2.2 ეკონომიკური მიმოხილვა

მრავალი გამოწვევის მიუხედავად, ბოლო ათწლეულის მანძილზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკონომიკის ზრდა დაფიქსირდა (იხილეთ სურათი #2[15]). მზარდმა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება, ასევე სერვისებზე მოთხოვნის გაზრდა და შემოსავლის ალტერნატიული წყაროების წარმოშობა, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდებისთვის. სამომავლო წინსვლასთან დაკავშირებული გამოწვევები და შესაძლებლობები დაკავშირებულია „მიწოლის“ და „მოქაჩვის“ (push and pull)[16] ეფექტების შემდგომ ინტეგრირებასთან სასოფლო ტერიტორიებზე, რათა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების და სხვა სასოფლო სექტორების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ასევე ბაზრებთან წვდომის გაუმჯობესება და ადგილობრივი ნაწარმის ადგილზე რეალიზაცია, ალტერნატიული და დივერსიფიცირებული სასოფლო საწარმოების ბმის ხელშეწყობა გარე, უფრო ფართო ეკონომიკასთან ორივე მომსახურების და მიკრო მცირე და საშუალო საწარმოების და ტურიზმის სექტორთან.

[14] აჭარის კლიმიტის ცვლილების სტრატეგია. UNDP. 2013. აჭარა ტიპური მთიანი რეგიონია. მთლიანი ტერიტორიის 80% (2900 კვ.მ) უჭირავს მთებს, 15% ბორცვებს და 5% დაბლობებს. მთლიანი ფართობის მხოლოდ 25% არის სოფლის მეურბნეობისათვის განკუთვნილი და დაახლოებით 65% დაფარულია ტყის მასივებით.

[15] საქსტატი – ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები აჭარაში შემდეგი სახის მეწარმეობაში: ვაჭრობა, მანქანების შეკეთება, პირადი და საყოფაცხოვრებო პროდუქცია (2006-17 წწ)

[16] მზარდ დინამიკურ ადგილობრივ ეკონომიკას შეუძლია „მოქაჩვის“ (pull) ეფექტი მოახდინოს გარშემო მყოფ რეგიონებზე პირველადი წარმოების პროდუქციისა და სერვისების მიმართ. სასოფლო-სამეურნეო სექტორის მიერ ამაზე კაპიტალიზება უნდა იყოს ის ელემენტი, რაც სოფლის განვითარების პროგრამირების კონტექსტში უნდა განვითარდეს. ამას გარდა, „მიწოლის (push) ეფექტი“ ხშირად მოითხოვს მოქმედების დაწყების სტიმულირებას, ასევე, ინსტრუმენტების და ჩარჩოს მიწოდებას იქ, სადაც ეკონომიკის პირველადი წარმოების ელემენტი, ამ შემთხვევაში კი სოფლის მეურნეობა ისეა პოზიციონირებული, რომ სარგებელი მიიღოს სოფლის მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესებული მიწოდებით, ინფრასტრუქტურით, ინფორმაციითა და ტექნოლოგიით, შესაბამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობით, ბაზრის და პროდუქციის გამრავალფეროვნებით.

სურათი #2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური მონაცემები, 2006-17 წწ.



რამდენადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 45%-ზე მეტი სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული[17], ამ სექტორის მნიშვნელობა სოფლის განვითარებისთვის კარგადაა გაცნობიერებული. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ მიღებული 2017-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგია სექტორის სისტემურ და ინსტიტუციონალურ ცვლილებებს ითვალისწინებდა; ის მიზნად ისახავდა ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვის ხელშეწყობას, სოფლის მეურნეობისთვის ახალი ფუნქციების მინიჭებას, შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას, უფრო მეტ დივერსიფიკაციას და ალტერნატიული საარსებო წყაროების შექმნას, ასევე სოფლის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებას როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების ტექნიკურ დონეზე, ისე სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე, აქ იგულისხმება ინფრასტრუქტურა, განათლება და ჯანდაცვისა და სათემო სერვისები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგია (2017-2020 წწ) ფოკუსირებულია სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე, ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაზე, სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციაზე, საარსებო წყაროს ახალი ალტერნატივების შექმნასა და სურსათის უვნებლობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის (2021-2027) მიხედვით, ინიციატივების წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა მონაწილე მხარეების ჩართულობის, როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა (მაგ: მთავრობის, კერძო სექტორის, თემის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები), სოფლის განვითარების პრიორიტეტების ერთად განსაზღვრა, წინა გამოცდილებების გათვალისწინება და ისეთი პლატფორმისა და ჩარჩოს შექმნა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები უფრო ეფექტურად იმოქმედებენ და ხელს შეუწყობენ ადგილობრივ და რეგიონალურ ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ეს არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი.

[17] UNDP Ex-ante ანალიზი, აპრილი 2019

2.3 გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები

აჭარა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარებისთვის. სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის სხვა სახის რესურსებთან ერთად (მაგ: სოფლის მეურნეობის სექტორი, მსუბუქი მრეწველობა, მომსახურების სექტორი და ა.შ) ძალიან მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების ბაზა. მაშინ, როცა ბუნებრივი რესურსების ბაზის მონეტიზაცია ისეთივე მაღალ დონეზე არ ხდება, როგორც სხვა სექტორებში, მისი როლი და მნიშვნელობა მაინც საკმაოდ დიდია და ის სათანადოდ უნდა შეფასდეს. ჯანსაღი და მდგრადი ბუნებრივი რესურსების ბაზა უმნიშვნელოვანესია ისეთი სექტორებისთვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ბუნებრივი საძოვრები, წყალი, გარემო, და სხვ. ამ კონტექსტში სოფლის განვითარების პროგრამები და შესაბამისი სოფლის განვითარების ღონისძიებები ხელს უნდა უწყობდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების მდგრად და რაციონალურ განვითარებას; გარდა ამისა, უნდა დაიწყოს ბუნებრივი რესურსების ღირებულების მონეტიზაცია იმ სფეროებში, სადაც ეს მანამდე არ ხორციელდებოდა.

ამ ეტაპზე, მონეტიზაცია ნამდვილად არ გულისხმობს რომელიმე ვალუტის საშუალებით შეფასებას, მაგრამ აუცილებელია ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობის აღიარება და შეფასება უკვე არსებული გარემოსდაცვითი, სოციალური, კულტურული და მიწათმოქმედების გამოცდილებების საფუძველზე. ამის კარგი მაგალითია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში საქონლის ტრადიციული სეზონური გადაყვანის დროს გამოყენებული ბუნებრივი რესურსების შეფასება (ეს მოიცავს სოციალურ, კულტურულ ღირებულებებს, სავარგულების გამოყენებას, ბუნებრივ გარემოს, წყლის ხარისხს, ბიომრავალფეროვნებას, და სხვ.). მეცხოველეობის ამ სისტემებს დამახასიათებელი ღირებულება აქვთ (სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვ), რომელთა მდგრადობა თაობების მანძილზეა გამოცდილი. ისინი მინიმალურ უარყოფით ზეგავლენას ახდენენ გარემოზე და ბევრ შემთხვევაში მათ მიერ საუკეთესო სახით ხდება სპეციფიკური ადგილების გამოყენება, როგორიცაა მთის და ალპური საძოვრები. ამ ფაქტის გაცნობიერება აუცილებლად უნდა მოხდეს სოფლის განვითარების კონტექსტში და ამ კონკრეტული მრეწველობის სისტემის შეფასების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მისი სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ღირებულებები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიომრავალფეროვნებით და მრავალფეროვანი ლანდშაფტით გამოირჩევა. მისი ადგილმდებარეობა შავ ზღვასთან ახლოს, მთებისა და ხეობების მონაცვლეობა სხვადასხვა სახის აგრო და გარემოს კლიმატურ ზონებს ქმნის. მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოება მჭიდრო კავშირშია არსებულ კლიმატურ პირობებთან. კლიმატის და აგრო-ეკოლოგიური ზონების ეს ურთიერთდამოკიდებულება, კლიმატის ცვალებადობასა და არასტაბილურობასთან ერთად, საწარმოო სისტემების რისკებს ზრდის, რაც საბოლოოდ ფერმერის კეთილდღეობაზე აისახება. სოფლის მეურნეობის არასათანადო საქმიანობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს გარემოს დეგრადაციას და კლიმატის ცვლილებების რისკის გაზრდას, რასაც ხშირად მოსდევს მეწყერული პროცესების სიხშირის გაზრდა, ნიადაგების და წყლის სისტემების დაბინძურება. ეს ყველაფერი გარემოსა და ნიადაგის

დეგრადაციას იწვევს, რის შედეგადაც აჭარაში გაიზარდა ნიადაგის ეროზია, დაიკარგა მისი ფართობი, ხშირია წყალდიდობები და მეწყერული მოვლენები.

მიწის არასათანადო გამოყენების გავლენის და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული გარემოს ცვლილების შემცირების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან ერთად რესურსების დაცვის პროგრამა უნდა შეიმუშაოს, სადაც ყურადღება გამახვილდება ლანდშაფტის გამოყენების გაუმჯობესებაზე. ამ თვალსაზრისით, პრიორიტეტად ის ღონისძიებები განიხილება, რომლებიც ნიადაგის დაზიანების, მეწყრული ზონებისა და ეროზიული პროცესების შემცირებისკენ არის მიმართული. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ციცაბო ფერდობზე მიწათსარგებლობის არასწორი პრაქტიკა ხელს უწყობს მცენარეული საფარის შემცირებას, ნიადაგის ეროზიას, წყლისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვას, რაც გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებასა და პროდუქტიულობაზე. ანალოგიურად, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებებს მეცხოველეობის ტრადიციული სისტემებში, მოსავლისა და მეცხოველეობის ურთიერთდამოკიდებულებამ (მაგ.: როდესაც ორგანული სასუქი შეაქვთ სახნავ ნაკვეთებში) ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება, მასში ორგანული ნივთიერებების და პროდუქტიულობის შემცირება გამოიწვიოს; ამის მაგალითია კარტოფილის მოყვანისა და მეცხოველეობის შერეული სისტემის ზოგიერთი შემთხვევა.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებამ და დანერგვამ შეიძლება ხელი შეუწყოს მდგომარეობის შემსუბუქებას და ნიადაგის უფრო მდგრადი და რაციონალური გამოყენება უზრუნველყოს. შესაბამისი ღონისძიებების დანერგვისთვის ამინდისა და კლიმატის შესახებ ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობების გამოყენება მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში. საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები (აგრო სერვის ცენტრი) უკვე ჩართულები არიან ამინდის მონაცემების შეგროვებაში, რათა ეს მონაცემები მოსავლის პროგნოზირების, მცენარეთა დაავადებების და მავნე ორგანიზმების კონტროლისთვის გამოიყენონ. მოსავლისა და დაავადებების ასეთი გამაფრთხილებელი სისტემების არსებობამ და ინფორმაციაზე წვდომამ მუნიციპალურ და სოფლის რაიონებში შესაძლებელია ლანდშაფტის გამოყენება და მართვა გააუმჯობესოს.

ჩართული მხარეებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისთვის აუცილებელია მათი და სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესება. კერძოდ, სამინისტროს უნდა შეეძლოს რეგიონალურ დონზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღება და დამუშავება, რაც ფერმერებს მართვის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ეს პირდაპირ არის დაკავშირებული კლიმატგონივრული პროპაგანდის გაძლიერებასთან. სოფლის მეურნეობაზე კლიმატის ცვლილებების გავლენის შესახებ ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო მეწარმეების ინფორმირების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვადასხვა აქტივობებს დაგეგმავს, როგორიცაა კონფერენციები, ტრენინგები, მედია რელიზები, საინფორმაციო ინტერნეტპორტალები. შეიქმნება მიწის არასათანადოდ გამოყენების გამოცდილებების მონაცემთა ბაზა. უზრუნველყოფილი იქნება სოფლის მეურნეობის – კლიმატის ანალიზისა

და შედეგების კომუნიკაციის სისტემა. მუნიციპალიტეტებში განხორციელდება სასწავლო პროგრამები საკონსულტაციო მომსახურების ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციული საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისთვის მათი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. შესწავლილი და შეფასებული უნდა იქნას კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე, რაც ხელს შეუწყობს ამინდის მონიტორინგს მოსავლისა და მეცხოველეობის რისკების პროგნოზირებისთვის და მიწის დეგრადაციის შემცირებისთვის საუკეთესო გამოცდილებების დანერგვას. შეიქმნება ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, საიდანაც შესაძლებელი გახდება ინფორმაციის მიღება კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების გავლენის შესახებ; ასევე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების ცვლილებისა და მწარმოებლურობის დანაკარგების შესახებ.

ლანდშაფტის გამოყენებასა და რესურსების მართვაში აუცილებელია ინტეგრირებული მიდგომა ამ რესურსების გამოყენების უკეთესად გააზრებისა და ოპტიმიზაციის მიზნით, კლიმატის ცვლილების რისკის ზრდის პირობებში.

ამგვარმა ინტეგრირებულმა მიდგომამ თავისი ადგილი უნდა იპოვოს სასოფლო-სამეურნეო გარემოსა და სოფლის განვითარების პროგრამების დამაკავშირებელ ღერძზე, რადგან ეს ორივე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და გავლენას ახდენს ერთმანეთზე. ბუნებრივი რესურსების ბაზა განხილული უნდა იქნას არა დამოუკიდებლად, არამედ როგორც მთელი სისტემის ნაწილი, სურსათის სისტემასა და სოფლის განვითარების ფართო სპექტრთან ერთად. ამრიგად, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მართვასა და გამოყენებაში ინტეგრირებული მიდგომის გამოყენება, რომელიც ასევე მის პარალელურ დარგებს მოიცავს, როგორიცაა ბიომრავალფეროვნება, სოფლის მეურნეობის აქტივობების მდგრადობა, საძოვრების მართვა და ა.შ.[18]

2.4 მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია. წარმოადგენს რა უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს, საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს განვითარებას; მოქალაქეების სოციალური დაცვის ღონისძიებებს ახორციელებს, სპეციალურ პროგრამებს ამზადებს უმუშევრობის შემცირების მიზნით და ამ პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს; საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონის განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, ეკონომიკურ, სოციალურ და ჯანდაცვის საკითხების გადაჭრაში მონაწილეობს; გზების ექსპლუატაციას და სხვა ადგილობრივი კომუნიკაციების განვითარებას უზრუნველყოფს; აჭარაში ტურიზმისა და სპორტის განვითარებისთვის შესაბამის გარემოს ქმნის; სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მართვას, სურსათისა და სურსათის პროდუქტების ხარისხის კონტროლს უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

[18] წყარო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-20

ეკოლოგიური და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას უზრუნველყოფს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პასუხისმგებელია შემდეგ საკითხებზე:

- განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა, კულტურული და სამეცნიერო სტრუქტურების შექმნა და მართვა, ადგილობრივი კულტურული ძეგლების შენარჩუნება;
- ადგილობრივი ბიბლიოთეკები და მუზეუმები;
- ტურიზმი, კულტურა და სპორტი
- ადგილობრივი მშენებლობები და ურბანული განვითარება
- ადგილობრივი საავტომობილო გზები და სხვა კომუნიკაციები
- სანიტარიული, ჯანდაცვისა და სოციალური დაზღვევის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა;
- სოფლის მეურნეობა და ნადირობა;
- სურსათისა და სასურსათო პროდუქტების ხარისხის კონტროლი
- ბაზრები და ბაზრობები
- სატყეო მეურნეობისა და ხანძარსაწინააღმდეგო მენეჯმენტი.

3. მთავარი გამოწვევები

ეროვნულ დონეზე, საქართველოს სოფლები კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან, მათ შორისაა: სტრუქტურული სისუსტე, მეწარმეობის და დამატებითი ღირებულების შექმნის დაბალი დონე, დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა, რომელიც ინტენსიურ შრომით რესურსს საჭიროებს[19], ექსპორტისთვის განკუთვნილი პროდუქციის მცირე რაოდენობა, სოფლებში ინვესტიციების სიმცირე, სხვადასხვა რესურსების ნაკლებობა და არახელმისაწვდომობა, ამორტიზებული ინფრასტრუქტურა, რეგიონებს შორის მზარდი უთანასწორობა, სიღარიბის მაღალი რისკი და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული სტრესი, გარემოს დაცვის არასაკმარისი ინიციატივები, რაც საფრთხეს უქმნის როგორც სოფლებს, ასევე მთელს ქვეყანას.

აღნიშნული გამოწვევები იგივეა რეგიონალურ დონეზეც. გარდა ამისა, აჭარაში, მისი გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული თავისებურებების გამო, სპეციფიკური გამოწვევებიც არსებობს, როგორიცაა კომუნიკაცია და ინფრასტრუქტურა, სერვისების ხელმისაწვდომობა და ინფორმაცია, საოჯახო სოფლის მეურნეობის დაბალი მწარმოებლურობა და განსაკუთრებით ის ფაქტორი, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები ძალიან დანაწევრებულია და ცალკეული ოჯახი მცირე ზომის მიწის ნაკვეთს ფლობს.

აღნიშნული ფაქტორები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვის გამოწვევებსაც წარმოადგენს და შესაძლებლობებსაც, რამდენადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, კერძო სექტორი და სამოქალაქო სექტორი ცდილობენ განახორციელონ ისეთი სოფლის განვითარება, რომელიც სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადობას, გაუმჯობესებულ ეკოლოგიას, უკეთესი ხარისხის განათლების, ჯანდაცვის და სოციალური სერვისების მიწოდებას, ჯანსაღ და მდგრად სასურსათო სისტემას უზრუნველყოფს, რაც, ამ რეგიონში ცხოვრების სასურველ და მდგრად პირობებს შექმნის.

აჭარაში სოფლის სექტორის განვითარებაზე მთელი რიგი სტრუქტურული საკითხები ახდენს ზეგავლენას, რომელთაგან სოფლის მეურნეობა კრიტიკული მნიშვნელობის კომპონენტია, ხოლო სოფლის მეურნეობაში არსებული სტრუქტურული საკითხები სოფლის განვითარებაზე ახდენს ზეგავლენას. აღნიშნული საკითხებიდან ზოგიერთი ქვემოთ არის ჩამოთვლილი. ამ საკითხების გამოვლენის მიუხედავად, მათი პირდაპირ ან ეტაპობრივად მოგვარება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული (ეროვნულ დონეზე) ან პირდაპირ, ან ეტაპობრივი ან საპილოტე მიდგომით, რაც წვლილს შეიტანს საუკეთესო შედეგების მიღებაში. შესაბამისად, ზოგი ეს საკითხი პოლიტიკური და პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სფეროს მიეკუთვნება, უფრო ფართო გეოპოლიტიკური ლანდშაფტის და ამ ლანდშაფტის განმსაზღვრელი პარამეტრების კონტექსტში (ახალი არჩევნები, საგარეო ურთიერთობები

[19] სოფლის მეურნეობა, რომელიც ინტენსიურ შრომით რესურსს საჭიროებს, უფრო ფართო სოფლის ეკონომიკის კონტექსტში უნდა იქნას განხილული და შეიძლება უარყოფითი, ან დადებითი იყოს ამ კონტექსტში. ზოგ ტერიტორიაზე სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივების არარსებობის გამო, ეს შეიძლება დადებითად იქნას მიჩნეული და, ამგვარად, შეიძლება უფრო ფართო მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური საკითხი გახდეს სამთავრობო პოლიტიკაში დემოგრაფიის და სოფლის განვითარების მიმართულებით (რა სჯობს: ადამიანები სოფლის მეურნეობის წარმოებაში შევინარჩუნოთ, ალბათ მარგინალურ და საარსებო ეკონომიკურ დონეზე, თუ ურბანულ ტერიტორიებზე გადავიყვანოთ და შემდეგ სოციალური, კულტურული და უმუშევრობის რისკის წინაშე დავაყენოთ?), თუ არ იქნება შესაბამისი პროგრამები ამგვარი ცვლილების ხელშესაწყობად

და სხვ); გარდა ამისა, ეს საკითხები სოფლის განვითარების სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, იმის მიუხედავად, ახდენენ თუ არა ისინი გავლენას სოფლის განვითარების ხასიათსა და მიმართულებაზე.

სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი სტრუქტურული საკითხების შესახებ მომზადებულ ანგარიშში ქვემოთ მოყვანილი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები არის ჩამოთვლილი[20], რომლებიც სოფლის მეურნეობის სექტორზე ახდენს ზეგავლენას.

- მაშინ, როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დამატებითი ღირებულება 130%-ით გაიზარდა ბოლო წლების მანძილზე, სოფლის მეურნეობა მაინც სტაგნაციას განიცდის.
- სოფლად სოფლის მეურნეობა ისევ ძირითად დამსაქმებელს წარმოადგენს, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო შემოსავლების მხრივ (იგულისხმება როგორც საარსებო პროდუქციის მიღებაზე მომუშავე ოჯახები, ასევე ის პირები, რომლებიც მარგინალურ მწარმოებლებს წარმოადგენენ, ანუ პროდუქციის ძალიან მცირე რაოდენობას აწარმოებენ და ბაზარზე ვერ მკვიდრდებიან).
- უფრო და უფრო მეტ სოფლად მცხოვრებ ოჯახს აქვს დამატებითი, არა ფერმერული შემოსავლები, რომელსაც ოჯახისგან ან ნათესავებისგან იღებენ, ან დასაქმებულები არიან არა სასოფლო-სამეურნეო, არამედ რეგიონის სხვა სექტორში. ამრიგად, მცირე მეურნეობები, აწარმოებენ რა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი ოჯახებისთვის და, შესაძლებელია, მცირე რაოდენობას გასაყიდად, დროის მხოლოდ ნაწილს უთმობენ სოფლის მეურნეობას; ეს ტენდენცია უფრო და უფრო იზრდება და მას ადგილი აქვს ევროპის სხვა, ნაკლებად განვითარებულ ადგილებში.
- მცირე ზომის და ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთები (საშუალო ზომა 0,25 ჰა) მთავარ პრობლემას წარმოადგენს წარმოების მასშტაბის, წარმოების და მიწოდების აგრეგაციის, საქონლის სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის, ნედლეულის ხელმისაწვდომობისა და მარკეტინგისთვის. ამ პრობლემების მოგვარებისთვის აუცილებელია, რომ მცირე მეურნეობების მფლობელებს ერთმანეთთან გარკვეული თანამშრომლობა ჰქონდეთ.
- სურსათის იმპორტის მხრივ ზრდის ტენდენცია ფიქსირება, თუმცა იმპორტის ჩანაცვლება პოტენციურ შესაძლებლობად განიხილება.
- ფინანსური და საკრედიტო პაკეტების ნაკლებად ხელმისაწვდომობა აფერხებს პროდუქტიულობას, ინვესტიციებს და კონკურენტუნარიანობას.
- ბაზარზე ეფექტური კავშირები, დამატებული ღირებულება, პროდუქციის ხარისხი და სტანდარტიზაცია, შეფუთვა, საქონლის ბრენდინგი გამოწვევას წარმოადგენს.
- დაუსრულებელი მიწის რეფორმები და არაპროდუქტიული მიწის დიდი ფართობები, რაც გამოწვეულია მიწის მართვის არსებული სისტემით.
- მცირე მოსავლიანობა და დაბალპროდუქტიული მესაქონლეობა.

სოფლის განვითარებაში ბალანსის მიღწევა სამოქალაქო საზოგადოების და მთავრობის პლატფორმების მონაწილეობითი ჩართულობის და განხორციელების მექანიზმების (აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების AMAG და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების LAG) საშუალებით უნდა მოხდეს, რაც ხელს შეუწყობს თემის ჩართულობას, სოფლად

[20] აჭარის სოფლის მეურნეობის სტრუქტურული საკითხები, კვლევის ანგარიში, რომელიც თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ENPARD-ის პროგრამის მეშვეობით, 2014 წლის დეკემბერი

ინვესტიციების განხორციელებას, სოფლის ეკონომიკის განვითარებას, ტექნიკურ, სოციალურ და კულტურულ დახმარებას და რეკომენდაციებს, რომელშიც გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის, გარემოსა და სოციალური და კულტურული სტრუქტურების ურთიერთდამოკიდებულება, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონის შიგნით, ასევე რეგიონებს შორის და საერთაშორისო დონეზე. განხორციელების ამ მექანიზმების ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი თემების, ადგილობრივი მთავრობის, კერძო და საჯარო სექტორის და დონორების როლები. ასევე, ამ მხარეებს შორის პარტნიორობის მექანიზმების სარგებელი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს როლი უმნიშვნელოვანესია ამ ბალანსის დამყარებისთვის.

4. SWOT ანალიზი

ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების (SWOT) ანალიზი დიდწილად ეფუძნება სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების წინა პროგრამებიდან მიღებულ გამოცდილებას. აღნიშნული ანალიზი ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზს, როგორიც არის, მაგალითად, ქედას და ხულოს მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმებში მოცემული ანალიზი, სადაც ადგილობრივ დონეზე ქვემოდან ზემოთ მიმართულებით არის შეფასებული სხვადასხვა ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ამ კონტექსტში, შემდეგ SWOT ანალიზი მთელ რიგ პარამეტრებს და ასპექტებს ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სექტორის, არამედ უფრო ფართო ბუნებრივი რესურსების ბაზის, კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური განზომილების და ინფრასტრუქტურის მიმართ, განსაკუთრებით კი იმის შესახებ, რაც სოფლებზე ახდენს ზეგავლენას. ამ მხრივ, დადგენილია მაღალი დონის (საერთო და დარგობრივი) SWOT პარამეტრები, რაც მიმართულებას აძლევს სტრატეგიას და სოფლის განვითარების საბჭოს საყურადღებო სფეროების და საწყისი მომენტების გამოსავლენად. ამ მხრივ, არსებული ძლიერი მხარეების და შესაძლებლობების გამოყენება და სუსტი მხარეების გაძლიერება, ასევე, საფრთხეების შერბილება თუ მინიმუმამდე დაყვანა საფუძველს ქმნის სოფლის განვითარების ეფექტური სტრატეგიაში წვლილის შესატანად.

4.1 ძლიერი მხარეები

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების აქტიური საბჭო და არსებული სამუშაო ჯგუფები, სამინისტროში არსებული ძლიერი ინსტიტუციური მეხსიერება და დაგროვილი გამოცდილება; „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის“ განხორციელების შესახებ არსებული ცოდნა და გამოცდილება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია;
- სოფლების და მუნიციპალური ქალაქების შედარებითი სიახლოვე (უმეტეს ტერიტორიებზე მანქანით მისვლა ერთ დღეშია შესაძლებელი) ქალაქებსა და დაბლობზე მდებარე ტერიტორიებთან, ასევე საგზაო ინფრასტრუქტურის ქსელსა და ბათუმთან, რომელიც საპორტო ქალაქს და ტურიზმის ჰაბს წარმოადგენს;
- შედარებით დაუზიანებელი ბუნებრივი რესურსების ბაზა და განსაკუთრებით მთიანი ტერიტორიები, დიდი ტყეები და შენარჩუნებული საძოვრები;
- სოფლად არსებული ძლიერი კულტურული და სოციალური პრაქტიკები, დაინტერესებული და აქტიური ახალგაზრდებით, მუნიციპალიტეტის დონეზე ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად;
- ძლიერი სოციალური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციული პლატფორმის და მექანიზმის უზრუნველყოფა ამაგ-ების მეშვეობით, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ თემის ჩართულობას;
- განათლებული სამუშაო ძალა, საინფორმაციო ტექნოლოგიასა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო პლატფორმებზე წვდომა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შედარებითი უპირატესობა ციტრუსის წარმოებაში, განსაკუთრებით კი ბარში, მეცხოველეობის წარმოების ისტორიული სისტემები მაღალმთიან ტერიტორიებზე;
- ტურიზმის მხრივ არსებული უპირატესობა და ტურიზმის გამრავალფეროვნების შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი ტურიზმის ახალი ფორმები ბუნებრივი გარემოს, კულტურის, კულინარიის და სათავგადასავლო ტურიზმის საფუძველზე;
- საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების არსებული და მზარდი ქსელი (აგრო სერვისის ცენტრი), სადაც ხელმისაწვდომია ექსპერტიზა და კიდევ უფრო ვითარდება საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- მდგრადი განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ლაბორატორიის ISO 17025:2010 მოთხოვნების შესაბამისად – „ლაბორატორიის კვლევითი ცენტრი“, რომელიც რეგიონში ფუნქციონირებს;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და ნატურალური სურსათის წარმოების სისტემების გამოყენება, სადაც პოტენციური კავშირები არსებობს უშუალოდ ტურიზმის ბაზართან, ასევე, მასპინძლობის ინდუსტრიასთან დაბლობში და ქალაქ ბათუმში;
- სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ჯგუფების ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა მუნიციპალურ და თემის დონეზე, მაგ. ამაგ-ების მხრიდან ადგილობრივი მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ფასილიტაციისთვის;
- მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის დოკუმენტი და მიწის რეგისტრაციის მხარდამჭერი პროგრამული უზრუნველყოფა და პროცესი, რაც დონორი ორგანიზაციების დახმარებით ხორციელდება;
- კანონმდებლობის და პროგრამების არსებობა, რაც მხარს უჭერს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას, „საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამები, რომელიც კოოპერაციული ფერმერული მეურნეობის განვითარებაზეა ფოკუსირებული;
- სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, საქართველოში არსებული სამართლებრივი ბაზით, საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშესაწყობად;
- აჭარაში აქტიურად მოქმედი სავაჭრო – სამრეწველო პალატა, რომელიც მხარს უჭერს სოფლად ბიზნესის და სასოფლო-სამეურნეო სექტორის, ასევე, დაკავშირებული საწარმოების განვითარებას, ტურიზმის ბაზრებთან, სავაჭრო და საექსპორტო ბაზრებთან დაკავშირება უკრაინაში, ევროპასა და რუსეთში.

4.2 სუსტი მხარეები

- ფერმერული მეურნეობის ზომა და მიწის ფრაგმენტაცია; დაუსრულებელი მიწის რეფორმები, შეზღუდული ან არ არსებული საიჯარო ბაზარი სოფლად მდებარე მიწისთვის;
- კრედიტის მიღების შეზღუდული და ძვირადღირებული შესაძლებლობები;
- ხარისხიან ნედლეულზე წვდომა;
- საბაზრო ინფრასტრუქტურის და ინფორმაციის ნაკლებობა;

- გაუმჯობესებულ ტექნოლოგიასა და საუკეთესო პრაქტიკებზე წვდომა;
- სასაწყობე, კონსოლიდაციის და შეგროვების ცენტრებზე წვდომა და პროდუქტის დამატებითი ღირებულება, გადამუშავება;
- პროდუქტების დაბალი ხარისხი და პროდუქტიულობა, ბოსტნეულის დაბალი ხარისხი, სიმინდის და რძის დაბალი პროდუქტიულობა;
- თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი დაბალპროდუქტიულ სექტორებში; დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები არასასოფლო-სამეურნეო სექტორში;
- შრომის დაბალი პროდუქტიულობა (ერთ დასაქმებულ პირზე წარმოქმნილი დამატებითი ღირებულება);
- პროფესიული განათლების დაბალი დონე, თანამედროვე ტექნოლოგიების და ცოდნის არასაკმარისად გამოყენება;
- ეკონომიკის დივერსიფიკაციის და სოფლად კონკურენციის დაბალი დონე;
- კავშირი რეგიონულ ცენტრებსა და ქალაქებთან, ინფრასტრუქტურის და მაცივრების ნაკლებობა;
- მცირე მოცულობები, აგრეგაციის და წარმოების მასშტაბური ეკონომიკის ნაკლებობა;
- ახალი პროდუქტის და სერვისის განვითარების ნაკლებობა;
- მიწის გაუმჯობესების და სატყეო რესურსების მართვის მექანიზმი თემის და სოფლების კლასტერის დონეზე;
- ბუნებრივი აქტივების და წარმოების სისტემების წარუმატებლად გამოყენება, მაგ. მესაქონლეობის სექტორი, პროდუქტის განვითარება, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი საკვები;
- ალტერნატიული ტურიზმის განვითარება და კავშირები სამასპინძლო და კულტურის მომსახურებებზე არ არის განვითარებული.

4.3 შესაძლებლობები

- სასოფლო-სამეურნეო სექტორის პროდუქტიულობის ამაღლება, საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა და ბაზარზე კავშირების დამყარება, ნიშური პროდუქტების განვითარება სოფლის მეურნეობაში, მესაქონლეობა და არასატყეო პროდუქცია, რომელიც გამიზნულია ადგილობრივ და რეგიონულ შიდა ბაზრებზე, ტურიზმის და მასპინძლობის დარგი და სპეციფიკური საერთაშორისო ბაზრები, რომელთა შორისაა „ჯანსაღი საკვების“ და „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის“ სისტემები;
- გაუმჯობესებული შეგროვებისა და ლოგისტიკური ცენტრები, რაც უკავშირდება პროდუქტის გადამუშავებას, შენახვასა და დამატებითი ღირებულების შექმნას. სასაწყობე, გადამამუშავებელი და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და შესაბამისი ცოდნის მიწოდება ფერმერებისა და აგრარული მეწარმეებისთვის;
- ცხოველთა ჯანმრთელობის და ვეტერინარული სერვისების მიწოდების გაუმჯობესება, სერვისებზე წვდომა და მესაქონლეობის წარმოების სისტემების გამოყენება მთიან რეგიონებში არსებული ბუნებრივი რესურსების ბაზის შესაბამისად, პროდუქტის გამრავალფეროვნება, ტურიზმის ბაზართან დაკავშირება;
- ბუნებრივი რესურსების ბაზის მართვის და გამოყენების გაუმჯობესება, რაშიც შედის ტყეები და ბუნებრივი საძოვრები, თემის ჩართულობა და რესურსების ბაზის მართვა,

რაც უკავშირდება სოფლის ტერიტორიების გამრავალფეროვნებას, ტურიზმს და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებას;

- სახელმწიფო მიწების და რესურსების მართვის გაუმჯობესება, კერძო და სათემო სერვისებზე წვდომა გრძელვადიანი იჯარის, გაყიდვის ან ხელშეკრულების მეშვეობით;
- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების შემდგომი დანერგვა და გაძლიერება სურსათის უვნებლობის, პროდუქტის ბრენდინგის, შეფუთვის და პროდუქტის წარმოშობის წყაროს დადგენის მხრივ, ახალი პროდუქტის განვითარება;
- სოფლის მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესება ინფორმაციის, ტექნოლოგიისა და ბაზრების მიმართ, აგრო სერვის ცენტრების როლის განვითარება ნედლეულის და სერვისების მიწოდების და გამოყენებითი კვლევის მხრივ;
- ამაგ-ების შემდგომი გაძლიერება, მათი როლის და შესაძლებლობების განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების და თემების ჩართულობა ადგილობრივ დონეზე დაგეგმვის და განვითარების პროცესში;
- ფერმერული საწარმოების გამრავალფეროვნება და დამატებითი ღირებულების გამოვლენა, ახალი პროდუქტის შემუშავება, ბრენდინგის კულტურა, კულინარია და ადგილობრივი წარმოშობის წყარო;
- სოფლად ტურიზმის და მასპინძლობის დარგის განვითარება, რაც დაკავშირებულია სურსათთან, ბუნებასთან, სათავგადასავლო და კულტურულ ტურიზმთან;
- ბუნებრივი რესურსების გაუმჯობესებული მართვა და „მწვანე, ბუნებრივი და სუფთა“ წარმოების გამოყენება: მაღალმთიან აჭარაში პროდუქტების და სერვისების მიწოდება სასურსათო, კულტურის და სამასპინძლო სექტორებში;
- ახალგაზრდების და ქალების უნარების განვითარება სამასპინძლო, კულინარიულ და სასურსათო სექტორში;
- სტრატეგიული ადგილების განვითარება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონსოლიდირებისთვის, გადამუშავებისთვის, დამატებითი ღირებულების შეძენისთვის, შეფუთვისა და ბრენდინგისთვის;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, საბაზრო და ფასებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომა, ადგილობრივი ეკონომიკის „ჭკვიანი სპეციალიზაცია“ ევროკავშირის გამოცდილებაზე დაყრდნობით;
- ინკუბაციის და ინოვაციური ცენტრების განვითარება, ახალგაზრდების ჩართვა და სხვადასხვა პროფესიული უნარების შეძენა, გარედან შემოსული ინვესტიციების მოზიდვა;
- ადგილობრივი საბაზრო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ადგილობრივი თემების და ახალგაზრდების რესურსების გამოყენება, რეგიონში არსებული პატარა ქალაქების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მზარდი მიგრაციის შენელებას სოფლებიდან ქალაქებში (განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის) და უფრო მეტ ეკონომიკურ კავშირებს დაამყარებს სოფლებთან;
- თემის უფრო მეტად გაძლიერება და თემის მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესება ამაგ-ების და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების განვითარებით;
- მაღალმთიანი ტერიტორიების ხელშეწყობა და პოპულარიზება ინვესტიციებისთვის, რაშიც შედის ინვესტიცია ფიზიკურ და სოციალურ ინფრასტრუქტურასა და კომუნიკაციებში;
- ტრადიციული ადგილობრივი პროდუქტების წარმოება, რომლებსაც დამატებითი ღირებულება გააჩნიათ, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის;

4.4 საფრთხეები

- საფრთხეებს შორის შეიძლება იყოს სოციალურ და ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირების ვერ მოხერხება სოფლად. ინვესტიციის ნაკლებობა სოფლის და ქალაქის ტერიტორიებში (ადგილობრივი პატარა ქალაქები / დიდი სოფლები);
- არააქტიური ამაგ-ები;
- მცირე ოდენობის მუნიციპალური დაფინანსება და ბიუჯეტები განვითარებისთვის;
- ახალგაზრდების შენარჩუნების დონე და უნარების შეძენა სოფლად;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ინვესტირების ნაკლებობა;
- არააქტიური სოფლის განვითარების საბჭო, ბუნდოვანი ფუნქციები და ვალდებულებები;
- ამაგ-ების და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების მდგრადობა, მათი შესაძლებლობა, რომ სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი პროექტები და პროგრამები შეიმუშაონ, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ნაკლებობა;
- ფერმერების და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის არარეალიზებული წვდომა გაუმჯობესებულ სერვისებზე, ინფორმაციაზე, ტექნოლოგიასა და საუკეთესო პრაქტიკებზე;
- კერძო და საჯარო სექტორების ჩართულობის და ინვესტიციების ნაკლებობა კონსოლიდირების, შეგროვების და შესანახ ცენტრებში, დამატებითი ღირებულების შექმნის და გადამუშავების მიზნით;
- საბაზრო ინფრასტრუქტურის და ინფორმაციის ნაკლებობა, პროდუქტების და მომსახურების განვითარების შეუძლებლობა;
- ახალგაზრდების მიგრაცია სოფლებიდან;
- კავშირების გაძლიერების ვერ მოხერხება სოფლად არსებულ საწარმოებსა და სასურსათო სექტორს, სამასპინძლო და ტურიზმის დარგებს შორის;
- პროფესიული უნარების განვითარების ვერ უზრუნველყოფა ქალებისა და ახალგაზრდებისთვის, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებასთან დაკავშირებით და საწყის კაპიტალზე წვდომის მხრივ;
- ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც დაკავშირებულია წახალისებასა და საინვესტიციო შესაძლებლობებთან;
- სავაჭრო და სავალუტო პოლიტიკა, იაფი და დაბალი ხარისხის იმპორტი;
- ფერმერების დაბალი პროდუქტიულობა, პროდუქტების ტიპი და ხარისხი, საბაზრო საჭიროებების დაკმაყოფილება, მწარმოებლების კონკურენტუნარიანობა;
- დაბალი ხარისხი და მცირე წვდომა საკონსულტაციო და ექსტენციის მომსახურებებზე ფერმერებისთვის;
- სიცოცხლისუნარიან მიწის ნაკვეთებზე ხელმისაწვდომობა, წარმოების მოცულობა და მასშტაბური ეკონომიკა;
- კოოპერატივების პოტენციალის რეალიზების შეუძლებლობა.

5. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხედვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს ხედვა შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: ***„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო რეგიონების მოსახლეობა სარგებლობს გაუმჯობესებული ცხოვრების სტანდარტით და ხარისხით აქტიური, რესურსების მქონე და ინიციატივიანი სასოფლო თემების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების და სოფლის მეურნეობაზე დამყარებული სოფლის დივერსიფიცირებული ეკონომიკის წყალობით“*** [21].

წინამდებარე სტრატეგიაში ***„სოფლის განვითარება“2 განისაზღვრა როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მისი მოსახლეობის სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მისწრაფებების შესაბამისად,*** რათა მათ შეძლონ ცხოვრების მაღალი დონით და ხარისხით სარგებლობა და საარსებო საშუალებების მოპოვება ***მათი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებით*** და მათთვის უზრუნველყოფილი იქნეს ***უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, და ჰქონდეთ საშუალება, სურვილისამებრ ჩაერთონ სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკაში.***

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომლის დახმარებით სოფლის განვითარების საბჭოს შეუძლია თავისი ხედვის მიღწევა სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვისთვის პრიორიტეტების განსაზღვრის და შესაბამისი ზომების განხორციელების გზით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოფლის განვითარების საბჭომ შეძლებისდაგვარად ნაკლები პროგრამების და ზომების გამოყენება უნდა არჩიოს, რათა შეძლოს რესურსების (ტექნიკური, საინფორმაციო, ლოგისტიკური) ადეკვატურად განაწილება და საქმის კარგად შესრულება.

ამ თვალსაზრისით სოფლის განვითარების საბჭომ მიზნად უნდა დაისახოს პრიორიტეტის მინიჭება იმ საკითხებისთვის, რომლებიც შეიძლება განხილული იყოს ტრანსფორმაციულ ცვლილებებად და რომლებიც მას შეუძლია წამოიწყოს და ხელი შეუწყოს ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ერთად. სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვა ზემოქმედებას მოახდენს სასოფლო ეკონომიკის სხვადასხვა ქვე სექტორზე. კარგ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორიცაა განახლებული და გაუმჯობესებული წვდომა როგორც ფიზიკურ, ისე არამატერიალურ ინფრასტრუქტურაზე (მაგალითად, გზები, წყალსადენის მილები, საკანალიზაციო ხაზები, გაზისა და ენერგიის ხელმისაწვდომობა, კომუნალური მომსახურება, გაუმჯობესებული ინტერნეტ-კავშირები და ინფორმაციაზე წვდომა). ეს შეიძლება მოიცავდეს საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერას, როგორიცაა კონსოლიდაციის/ლოგისტიკური ცენტრები, ფერმერული ბაზრები, ცივი ჯაჭვის საშუალებათა ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს საბაზრო კავშირებს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის.

[21] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭო.

მეორე კარგი მაგალითია ყურადღების გამახვილება, შესაძლოა, თავდაპირველად პილოტური სახით, მიწის საკუთრების, მიწის სერტიფიცირების და რეგისტრირების, მიწათსარგებლობის სისტემის და მისი გამოყენების საკითხებსა და სხვა ვარიანტებზე, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს არსებულ სახელმწიფო მიწებზე წვდომას (კერძოდ, დაბლობ ადგილებში); ასევე შეიძლება ჩამოყალიბდეს პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსურ პაკეტზე წვდომას (სასოფლო საწარმოებისა და აგრობიზნესისთვის, კონკურენტული პირობებით) და სოფლის მოსახლეობისთვის დაფინანსებაზე და კრედიტებზე წვდომას როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების განვითარების მიზნით.

6. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ჩარჩო

6.1 პოლიტიკა და მმართველობა

ჩარჩო, რომელსაც ეყრდნობა საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისკენ მიმართული პროგრამების შემუშავება, როდესაც კი ეს შესაძლებელია, შესაბამისობაშია მოყვანილი და ჰარმონიზებულია სოფლის განვითარების ევროკავშირის მიდგომასთან. აღნიშნული მიდგომა წარმატებული და ეფექტიანია ევროპაში და ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის მიერთების წინა და გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებში მცხოვრები სოფლის მოსახლეობის წინაშე მდგომი რიგი საკითხების მოგვარებისთვის. ეს ჩარჩო უზრუნველყოფს საფუძველს ინტერვენციებისა და დახმარებისათვის და, რა თქმა უნდა, განხილულია საქართველოსთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში, კერძოდ, მე-2 თავში[22].

ამ კონტექსტში საქართველო, ამ შემთხვევაში კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ამკვიდრებენ აღნიშნული ჩარჩოს პრინციპებსა და მექანიზმებს და საჭიროების მიხედვით ცვლიან და არგებენ ინსტრუმენტებსა და სისტემებს ადგილობრივ პირობებს. ამასთან, ევროკავშირის დახმარება საქართველოსათვის სოფლის განვითარების სფეროში, უმეტესად პროგრამა ENPARD-ის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა) მეშვეობით, თავისთავად იყენებს იმ პლატფორმებსა და მექანიზმს,[23] რომლებიც წარმატებული გამოდგა ევროპის სხვა ნაწილებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წლებისათვის ითვალისწინებს აღნიშნულ ყოვლისმომცველ ჩარჩოს და დღემდე მიღებულ გამოცდილებას და აგრძელებს მსგავსი ჩარჩოს შემუშავებას, რომელიც დააკმაყოფილებს მის საკუთარ საჭიროებებს და მოერგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პირობებს, თუმცა მაქსიმალურად დაუახლოვდება ევროკავშირის პლატფორმებსა და მექანიზმს (იხ. ცხრილი 3ა ქვემოთ). ცხრილი 3ბ გვაჩვენებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის პრიორიტეტების შედარებას 2021-2027 წლების სტრატეგიის პრიორიტეტებთან.

[22] ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება – (http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-14-430_en.htm). http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/implimentation/DCFTA%20AP%202019%20Q1%20ENG.pdf

[23] მიდგომა „ქვემოდან ზემოთ“, ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და ინსტიტუციური მხარეები როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორებიდან ცვლილების მიღწევის ხელშესაწყობად და საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად.

ცხრილი 3ᵃ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტული სფეროების შესაბამისობა და თავსებადობა ევროკავშირის პრიორიტეტებთან

ევროკავშირის პრიორიტეტები სოფლის განვითარების სფეროში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისობა ევროკავშირის პრიორიტეტებთან
• სოფლის მეურნეობასთან, სატყეო საქმესა და სასოფლო ტერიტორიებთან დაკავშირებული ცოდნის გადაცემის და ინოვაციების ხელშეწყობა	✓ **განათლება, პროფესიული მომზადება, სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის ხელშეწყობის და საინფორმაციო მხარდაჭერის მომსახურების მიწოდება; აგროსერვისცენტრი**
• ყველანაირი ტიპის სოფლის მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერება და ინოვაციური ფერმერული ტექნოლოგიებისა და ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობა	✓ **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და არასასოფლო-სამეურნეო სექტორის დივერსიფიცირება და განვითარება**
• სოფლის მეურნეობაში საკვები პროდუქციის შექმნის ჯაჭვის ორგანიზების, ცხოველთა კეთილდღეობისა და რისკების მართვის ხელშეწყობა	✓ **ბაზარზე და მომსახურების მიწოდებაზე ორიენტირებული მწარმოებელთა ჯგუფების, ასოციაციებისა და კოოპერატივების გაძლიერება**
• სოფლის მეურნეობასა და სატყეო საქმესთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, დაცვა და გაძლიერება	✓ **ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესება**
• სოფლის მეურნეობის, საკვებისა და სატყეო სექტორებში რესურსების ეფექტიანობის ხელშეწყობა და ნახშირბადის დაბალი შემცველობისა და კლიმატური მოვლენებისადმი მდგრად ეკონომიკაზე გადასვლაში დახმარება	✓ **კლიმატისადმი მგრძნობიარე და გონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის და კატასტროფების რისკების შერბილების ზომების დამკვიდრება**
• სოფლად სოციალური ინტეგრაციის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა	✓ **ადგილობრივი სათემო მექანიზმების განვითარება, როგორიც არის აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები #46 და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები**

ცხრილი 3°. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების 2016-20 წლების სტრატეგიის პრიორიტეტებზე დაყრდნობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების 2016-20 წლების პრიორიტეტები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების 2021-2027 წლების პრიორიტეტები
ფოკუსირებულია ა) ეკონომიკის; ბ) გარემოს დაცვისა და გ) სოციალურ მიზნებზე	ფოკუსირებულია სამ ყოვლისმომცველ მიზანზე
ა) ეკონომიკა 1. სოფლის მეურნეობაში ცოდნის გადაცემა და ინოვაციები 2. ფერმების სიცოცხლისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა 3. საკვები პროდუქციის შექმნის ჯაჭვის განვითარების, დამუშავების, მარკეტინგისა და ცხოველთა კეთილდღეობის ხელშეწყობა	1. დივერსიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა, გაძლიერებული საბაზრო კავშირები. მსხვილფეხა საქონლის ნაყოფიერების და პროდუქტიულობის გაზრდა.
ბ) გარემო 4. ეკოსისტემების აღდგენა და გაძლიერება – სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა 5. რესურსების ეფექტიანობა და ნახშირბადის დაბალი შემცველობისა და კლიმატური მოვლენებისადმი მდგრადი სოფლის მეურნეობა	2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების მარაგის მდგრადი, გარემოს მიმართ პასუხისმგებლობით გამოყენება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება პროცესში ადგილობრივი თემების ჩართულობის გაძლიერების გზით.
გ) სოციალური 6. სოფლად სოციალური ინტეგრაციის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა	3. სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი თემები, რომლებიც ჩართულები არიან დაგეგმვასა და განხორციელებაში (აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები) და ხელი მიუწვდებათ გაუმჯობესებულ სერვისებზე, ინფრასტრუქტურაზე, ინფორმაციასა და ბაზრებზე.

მაგალითად გამოდგება პროგრამა LEADER[24], რომელიც ხელს უწყობს „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომის დამკვიდრებას და ადგილობრივ მხარეთა ჩართვას სოფლის განვითარების დაგეგმვის ხელშეწყობაში და ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი გადაწყვეტების გამონახვაში.

აღნიშნული პლატფორმების (რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში, ძირითადად, აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფებით არის წარმოდგენილი) და სხვადასხვა მექანიზმის შემოღებას, რომლებზე პასუხისმგებლობა და რომელთა მართვა თავად ბენეფიციარებს დაეკისრებათ და რომლებიც სოფლის თემებს მოემსახურება, უაღრესად დიდი მნიშვნელობა

[24] LEADER- Liaison Entre Actions de Development de L Economic Rural („კავშირები სოფლის ეკონომიკასა და განვითარებისკენ მიმართულ ქმედებებს შორის“) – ეს არის ადგილობრივი განვითარების მეთოდი, რომელიც ადგილობრივ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, განავითარონ თავიანთი ტერიტორია განვითარების შიდა პოტენციალის გამოყენებით.

აქვს სოფლის მდგრადი განვითარებისთვის და ახალი სტრატეგია, მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ფოკუსირებული უნდა იყოს ამ საკითხზე.

აღნიშნული პლატფორმებისა და მექანიზმის დამკვიდრება ხელს შეუწყობს სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვის შემდეგ ფაზებს, როდესაც საჭირო გახდება ამგვარი პროგრამის მართვასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დადგენა. სავარაუდოდ, მომავალში აუცილებელი ნაბიჯები იქნება მმართველი ორგანოს და გადამხდელი უწყების შექმნა. ამის გათვალისწინებით მოცემულ სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია ზოგიერთი კრიტიკული ელემენტი, რომელთა დახმარებით პლატფორმები და მექანიზმი, რომლებიც უნდა ამოქმედდეს და გააქტიურდეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკას უკეთეს პოზიციაში დააყენებს სოფლის განვითარებისთვის მომავალში რესურსების გამოყოფისას, იქნება ეს საქართველოს მთავრობის მხრიდან თუ თავად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახსრებიდან, საერთაშორისო დონორების პროგრამებისა და კერძო სექტორის დახმარებით.

6.2 ინსტიტუციური დაინტერესებული მხარეების ფუნქციები

6.2.1 სოფლის განვითარების საბჭოს მუშაობაში ჩართულ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებას შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის ამჟამინდელი განაწილება

ამ თავში, მე-7 თავთან ერთად, განსაზღვრულია დაწესებულებათა ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროცესში. დამატებითი დეტალები მე-7 თავშია მოცემული. და თუმცა სოფლის განვითარების საბჭოს ყველა წევრმა და დაინტერესებულმა მხარემ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ პროცესში, მთავარი როლები ეკისრებათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტს. სოფლის განვითარების დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ტურიზმის სამინისტრო, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. 2018 წლის 25 იანვარს გამოცემულ მთავრობის დადგენილებაში სოფლის განვითარების საბჭოს წევრებად შემდეგი უწყებებია მითითებული (იხ. ცხრილი 4):

ცხრილი 4. სოფლის განვითარების საბჭოს წევრები (იხ., აგრეთვე, მე-7 თავი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს წევრები, მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის დადგენილების მიხედვით	
სოფლის მეურნეობის მინისტრი (სოფლის განვითარების საბჭოს თავმჯდომარე)	ყველა მუნიციპალიტეტის მერი მოწვეული წევრის სახით
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი (სოფლის განვითარების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ქედის მუნიციპალიტეტის მერი შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ხულოს მუნიციპალიტეტის მერი
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პროტოკოლის და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე
მთავრობის ადმინისტრაცია	

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ძირითადი ფუნქცია სოფლის განვითარების პროცესში არის საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავების ხელშეწყობა, სოფლად მეწარმეობის გაუმჯობესების მხარდაჭერა მეწარმეობისთვის საგრანტო დახმარების პროგრამის განხორციელებით, თითოეული მუნიციპალიტეტისთვის სივრცითი მოწყობის გეგმების განახლებაში დახმარება, კურორტი გოდერძის ტერიტორიაზე ყველა სოფლის გაზმომარაგების უზრუნველყოფა, სასოფლო ტერიტორიებზე ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართვა, როგორიც არის, მაგალითად, მაჭახელას დაცულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება და განხორციელება, დასასვენებელი ადგილებისა და პიკნიკებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მოწყობის ხელშეწყობა, სოფლად ნარჩენების მართვისა და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემისთვის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

6.2.3 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვის მიმოხილვა

აჭარაში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვის ჩარჩო, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების 2017-2020 წლების პროგრამა უდევს საფუძვლად, ითვალისწინებს სოფლის განვითარების საბჭოს როლს, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლს და თანამშრომლობას ცენტრალურ დონეზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სოფლის განვითარების უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან და სოფლის განვითარების სააგენტოსთან. ამას გარდა, აღნიშნული ჩარჩო ითვალისწინებს

ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. ეს ძირითადად არიან აჭარაში არსებული 46 აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფი, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ სოფლის დონეზე ჩართულობაზე, და LEADER-ის ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, რომელთა საქმიანობის არეალი უფრო ფართოა და მუნიციპალიტეტებს მოიცავს. სამოქალაქო საზოგადოების ეს სტრუქტურები, კერძო სექტორის მოთამაშეებთან ერთად, ჩარჩოს მნიშვნელოვანი ელემენტებია. განვითარების ეროვნულ, მუნიციპალურ და სექტორულ გეგმებს შორის შესაბამისობის დამყარების მთავარი მექანიზმი სოფლის განვითარების საბჭოა, რომელიც 2015 წლის 25 სექტემბერს შეიქმნა დადგენილების საფუძველზე. იმ დროს საბჭოში შედიოდა 23 წევრი, რომლებიც ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონულ ორგანოებს, ვაჭრობის პალატას, ადგილობრივ სამინისტროებს, არასამთავრობო და განვითარების მხარდამჭერ საერთაშორისო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. 2019 წლის 25 იანვრის მდგომარეობით საბჭოს შემადგენლობა განახლდა (იხ. ცხრილი 4). ქვემოთ მე-3 სურათზე წარმოდგენილია ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომლის მეშვეობით სოფლის განვითარების ყველა კრიტიკული ელემენტი პირამიდის ძირიდან წვერამდე და მათ შორის მდებარე ყველა შრე უნდა დაუკავშირდეს და დაეხმაროს ერთმანეთს ერთიანი და კოორდინირებული მიდგომის ხელშესაწყობად,[25] რომელიც არა მხოლოდ თითოეული შრის ცალკეულ ელემენტებს გაითვალისწინებს, არამედ შრეებს შორის კავშირს და ურთიერთმიმართებასაც.

სურათი 3. პირამიდა, რომელიც აკავშირებს სტრატეგიის ჩარევებს პირამიდის ძირიდან წვერამდე და განაპირობებს უფრო დაბალ დონეებზე მოცემული მიზნებისა და ჩარევების მიღწევას ეროვნული და რეგიონული დონის სტრატეგიების მეშვეობით

[25] სოფლის განვითარების საბჭოს კრიტიკული როლი.

6.2.3.1 სოფლის განვითარების პრიორიტეტების სტრუქტურა და თანმიმდევრობა

სოფლის განვითარების საბჭო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პრიორიტეტებად მიიჩნევს იმ ქმედებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისამოცანების (იხ. თავი 8, ქვეთავები 8.1-8.3) დახედვისმიღწევას. ამ თვალსაზრისით სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს მიდგომაზე, რომელიც უნდა იყოს ინტეგრირებული, ერთიანი და მრავალასპექტიანი და კოორდინირებული სოფლის განვითარების საბჭოს მიერ. მაშინ, როდესაც ადრინდელი საქმიანობის დროს ფოკუსირება ცალკეულ ელემენტებზე, ინდივიდუალურად ხდებოდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობაზე, სოფლის ინფრასტრუქტურაზე, სოფლად ბიზნესის ხელშეწყობის მომსახურებაზე, მწარმოებელთა ორგანიზაციულ განვითარებაზე, განათლებასა და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებაზე, საჭიროა, რომ სტრატეგიაში ყველაფერი ეს გაერთიანდეს სოფლის განვითარების მიმართ უფრო ინტეგრირებული მიდგომის მეშვეობით, რომელიც ***ხედავს სისტემას მთლიანობაში, ნაცვლად ინდივიდუალური ნაწილებისა. ამგვარი სტრატეგიული მიდგომა უფრო მეტად არის ფოკუსირებული სისტემებზე*** – როგორც საკვებისა და ბუნებრივი რესურსების სისტემებზე, ისე სოფლის სოციალურ სტრუქტურებზე, თემებზე, კულტურასა და მომსახურების გაწევაზე ***როგორც ერთიან სისტემურ მიდგომაზე, რომელიც აღიარებს სისტემის თითოეული ნაწილის*** (მაგ., გარემო, ბუნებრივი რესურსები, სასურსათო სისტემა და ა.შ.) ***ურთიერთდამოკიდებულებას და თითოეული ნაწილის დამოკიდებულების*** დონეს და ამით ხელს უწყობს პრიორიტეტულობის განსაზღვრას და იმ ზომების დადგენას, რომლებსაც ძალუძთ ზეგავლენის მოხდენა მთელ სისტემაზე და რომლებიც თავიანთი ხასიათით ტრანსფორმაციული არიან.

ეს ნიშნავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს სოფლის განვითარების მრავალწახნაგოვანმა ბუნებამ და პროგრამების დაგეგმვამ, განსაკუთრებით კი გასატარებელი ზომები უნდა ასახავდეს ამ ურთიერთდამოკიდებულებას (სოფლის განვითარების საბჭოს როლი), ხოლო სისტემები უნდა მუშაობდეს მჭიდრო ურთიერთკავშირში ერთმანეთთან, რათა მიღწეული იქნეს სოფლის განვითარების უფრო ფართო ამოცანა. ბუნებრივია, ეს გულისხმობს იმას, რომ სასურველი შედეგების მისაღწევად ბევრმა დაინტერესებულმა მხარემ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს. პროცესის ხელმძღვანელობისა და განხორციელებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სოფლის განვითარების საბჭოს, როგორც მაკოორდინირებელი უწყების, როლი და პასუხისმგებლობა. მარტივად რომ ვთქვათ, საჭიროა, რომ სტრატეგიაში აღიარებული იქნეს სხვადასხვა ელემენტის კრიტიკული როლები და რომ მოხდეს ამ ელემენტების, როგორც ერთი მთლიანის, ფუნქციონირება. ანუ მისაღწევი ამოცანებია (იხ. სურათი 8) დივერსიფიცირებული და ბაზარზე ორიენტირებული სასოფლო ეკონომიკა, ბუნებრივი რესურსების ბაზის მდგრადი გამოყენება და აქტიური სასოფლო თემები, რომელთაც აქვთ სერვისებსა და ბაზრებზე წვდომა. სტრატეგიის საფუძველზე ამ ამოცანების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ძირითადი ელემენტების არსებობა (სხვა ელემენტებთან ერთად):

- ✓ **მოქმედი და ქმედითი საკოორდინაციო უწყება (სოფლის განვითარების საბჭო)** და პროგრამების დაგეგმვის მართვის მექანიზმი, მკაფიოდ განსაზღვრული როლებით და პასუხისმგებლობებით (იხ. სურ. 6.2.4), რომელსაც მინიჭებული ექნება უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას შეთანხმებული სახით, გეოპოლიტიკური ზეგავლენის გარეშე.
- ✓ **სოფლის საწარმოების დივერსიფიცირება** და ჩართვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასა და ალტერნატიული ტურიზმის პაკეტებში, დაკავშირება საკვები პროდუქტების წარმოების, კულინარიულ, კულტურულ ტურიზმთან, ადგილობრივი და რეგიონული მასშტაბით.
- ✓ **მიწაზე წვდომის გაუმჯობესება, მიწის ფლობის უფლების გაფართოება, მიწის ნაკვეთების სერტიფიცირება და ეკონომიკური ერთეულების სახით გაერთიანება, მიწის ბაზარი.**
- ✓ შემოღებულია და ფუნქციონირებს **სათემო და მუნიციპალური ორგანიზაციული სტრუქტურები,** როგორებიც არის აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები. სოფლის განვითარების საბჭომ შეიძლება ასევე განიხილოს საკითხი, თუ რა გზით შეუძლია მას ხელი შეუწყოს თავის სტრუქტურაში ადგილობრივი მხარეების, როგორებიც არიან აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, მონაწილეობის გაზრდას.
- ✓ **პროდუქტების და/ან სოფლის ორგანიზაციული სტრუქტურების** განვითარება, როგორებიც არიან ბაზარზე და სერვისებზე ორიენტირებული კოოპერატივები, ასოციაციები და მწარმოებელთა ჯგუფები.
- ✓ **სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის მხარდაჭერისა და საინფორმაციო სერვისების ხელმისაწვდომობა, მიწოდება და მათზე წვდომა, მათ შორის სოფლის მოსახლეობის განათლება** ტექნოლოგიებზე წვდომის, საუკეთესო პრაქტიკის, ინფორმაციის, საბაზრო ფასების, კონსულტაციებისა და ტრენინგების, საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის საკითხებზე, ძირითადად აგრო სერვის ცენტრის სტრუქტურის მეშვეობით, და ამ უკანასკნელის შემდგომი განვითარება. გასათვალისწინებელია დამატებითი ფილიალების ადგილმდებარეობაც.
- ✓ მატერიალურ, საინფორმაციო და ტექნოლოგიურ **რესურსებზე წვდომა** (ლოგისტიკური / კონსოლიდაციის ცენტრები / ფერმების რესურსების მომარაგების მაღაზიები, ვეტერინარული ცენტრები; აგრო სერვის ცენტრი).
- ✓ **მნიშვნელოვან ადგილებში განლაგებული ინფრასტრუქტურა (ჰაბი ან ინოვაცია / მნიშვნელოვან ადგილებში განლაგებული აგრო საწარმოების პარკი / ინოვაციური / ინკუბაციის ცენტრი)** რესურსების დაგროვების, დახარისხების, შეფუთვის, დამატებული ღირებულების, ცივი შენახვის და ნიშური პროდუქტების განვითარებისა და ბრენდინგის ხელშესაწყობად (მაგ. ლოგისტიკური / კონსოლიდაციის / დაგროვების ცენტრები), რომელიც დაკავშირებული იქნება უფრო დიდი ზომის ტერიტორიულ ცენტრთან.
- ✓ **ინვესტირება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ჰაბში,** საბაზრო კავშირების, ღირებულებათა ჯაჭვის კავშირებისა და რესურსების გაერთიანების საკითხების მოგვარება დახარისხების, პირველადი და მეორადი დამუშავების მიზნით და ისევ მწარმოებელთა ჯგუფებთან კავშირების დამყარება.
- ✓ **ფინანსებსა და კრედიტებზე წვდომა** როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განვითარებასა და დივერსიფიცირების გაზრდაში ინვესტიციების ხელშესაწყობად.

- ✓ **მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა (მეწარმეობის) განვითარება,** რაც ხელს შეუწყობს ნიშური პროდუქტების განვითარებას, პროდუქტების დივერსიფიცირებას და დამატებული ღირებულების წარმოქმნას – პირველადი და მეორადი დამუშავება.
- ✓ **საბაზრო კავშირები – არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნიშური პროდუქტების განვითარება, არამედ ცხოვრების სასოფლო სტილის, კულინარიის, კულტურის, გარემოს, ახალი და ალტერნატიული ტურიზმის მარკეტინგი** ადგილობრივ, რეგიონულ (ტურისტული, სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრია, სუპერმარკეტები, საბითუმო და საცალო ვაჭრობა) და საერთაშორისო დონეებზე.

6.2.3.2 სტრატეგიის წინასწარი შეფასება, რომელიც იძლევა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ახალი სტრატეგიის, სტრუქტურისა და თანმიმდევრობის სხვადასხვა მოსალოდნელი ზეგავლენის ანალიზის შესაძლებლობას

სტრატეგიის სხვადასხვა მოსალოდნელი ზეგავლენის ეფექტიანად გაანალიზების შესაძლებლობისთვის საჭიროა კარგად გავათვითცნობიეროთ, თუ რის გაზომვას ვაპირებთ, როგორ და როდის გავზომავთ და რა საბაზისო ან საკონტროლო მაჩვენებელთან მოხდება შედარება. ამ მხრივ პროგრამა ENPARD-ს აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების არსებული, 2017-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების გამოცდილება, რაც შეიძლება გამოდგეს საკონტროლო პერიოდად, საიდანაც მოხდება ახალი სტრატეგიის (2021-2027 წლების) წინასწარი შეფასება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის სხვადასხვა მოსალოდნელი ზეგავლენის განხილვისას შეიძლება ყურადღება შევაჩეროთ შემდეგ პარამეტრებზე: ცვლილებები სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაში; ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტში; სოფლის მოსახლეობაში აღნიშნული ტენდენციები, ან ნორმები საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით; სოფლის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა; მიგრაციის დონე ჯგუფების მიხედვით; ცვლილებები სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვეში (პატარა ქალაქები); სიღარიბეში ცვლილების და სიღარიბის სიღრმის დონე და შრომის ნაყოფიერება; სოფლის მეურნეობაზე დაყრდნობის დონე; დასაქმების დონე და თვითდასაქმების მაჩვენებელი; სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლების გენერირება; ახალი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარება; მომსახურების გაწევისა და გამოყენების დონე – ეს ყველაფერი არის ზოგიერთი ინდიკატორი, რომელიც შეიძლება შესწავლილი იქნეს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის ზეგავლენის შეფასებისას.

6.2.4 სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიული განვითარების პროცესი

სოფლის განვითარების პროცესი დინამიკური პროცესია და ამ დროს საჭიროა გრძელვადიანი ხედვისადმი ერთგულება და შეთანხმებული სტრატეგიული მიმართულების, პროგრამებისა და ზომების განუხრელად შესრულება. ამავდროულად, ეს პროცესი მოქნილი უნდა იყოს და შესაძლებელი უნდა იყოს ადაპტირება ცვალებად გარემოებებთან. თუმცა, მიუხედავად

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების კარგად მოფიქრებული სტრატეგიისა და მისი იდენტიფიცირებული ძირითადი პრიორიტეტების, პროგრამების და განსახორციელებელი ზომებისა, ძირითადი ხედვისა და შედეგების მისაღწევად საჭირო იქნება იმ სტრატეგიული მიმართულებების დაცვა, რომლებიც საფუძვლად უდევს სტრატეგიას (სწორედ აქედან გამომდინარეობს სოფლის განვითარების საბჭოსთვის უფრო დიდი დამოუკიდებლობისა და უფლებამოსილების მინიჭების მნიშვნელობა). ამ თავში მოკლედ არის განხილული პროცესის ელემენტები და ის ძირითადი ორიენტირები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სტრატეგიის მიღების, შემდეგ კი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვის პროცესი ოთხ ფაზად შეიძლება შეჯამდეს (იხ. სურათი 4): სტრატეგიის შემუშავების ფაზა, რომელიც მოიცავს ხედვის, მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებას, რაც სტრატეგიის ძირითადი ნაწილია; პროგრამების დაგეგმვის ფაზა, რომლის დროსაც ხდება ძირითადი განსახორციელებელი აქტივობებისა და ზომების იდენტიფიცირება; განხორციელების ფაზა, რომლის განმავლობაში დგინდება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სქემები და სამიზნეები; და მიწოდების ფაზა, როდესაც ყალიბდება სამიზნეების მისაღწევი რესურსები და შედეგები.

- დაგეგმვისა და პროგრამირების ფაზის განმავლობაში (იხ. სურათი 4) აუცილებელი იქნება იმ დაინტერესებული მხარეების, კერძო პირებისა და ჯგუფების (სოფლის განვითარების საბჭოს და სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების) მობილიზება, რომელთაც კარგად ესმით, თუ რეალურად რა არის ეფექტიანი იმისათვის, რომ დასახული და შეთანხმებული ამოცანები გადაიქცეს ადგილზე შესასრულებელ იმგვარ აქტივობებად და ზომებად, რომლებიც მოიტანს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან შედეგებს. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას და საკონსულტაციო პროცესს ყველაზე უკეთესად სოფლის განვითარების საბჭო უხელმძღვანელებს: საბჭო კრიტიკულ როლს შეასრულებს, რადგან მის წევრებს შეუძლიათ ამ პროცესს მათეული ღრმა გაგება და ინფორმაცია შეჰმატონ.
- მას შემდეგ, რაც დადგინდება, თუ რის გაკეთებაა ადგილზე საჭირო შედეგების მისაღწევად, უნდა მოხდეს სავარაუდო ზომების იდენტიფიცირება და ჩამოთვლა (პრიორიტეტულობის მიხედვით), ხოლო როდესაც ეს შესაძლებელი იქნება, იმგვარი ტრანსფორმაციული ზომების შერჩევა, რომლებიც შესაძლებელს გახდის ზომების საერთო რაოდენობის პოტენციურ შემცირებას, იმ ინსტრუმენტების და სამიზნე ჩარევების მექანიზმების იდენტიფიცირებას, რომლებიც შეიძლება სქემებად ჩამოყალიბდეს. ამ შემთხვევაშიც სოფლის განვითარების საბჭო, მუნიციპალიტეტთან და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფებთან და ადგილობრივი განვითარების ჯგუფებთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საჭირო ზომების განსაზღვრაში, პრიორიტეტებისა და საბიუჯეტო რესურსების შესაბამისად.
- როდესაც ჩამოყალიბდება საჭირო ზომების ჩამონათვალი და გაირკვევა გარკვეული პერიოდისთვის ხელმისაწვდომი ბიუჯეტი, განხორციელების ფაზაში მოხდება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სქემების ანუ პროგრამების შემუშავება და საორიენტაციო სამიზნეების დადგენა შეთანხმებების რაოდენობის (სქემებისა და პროექტების) და ბენეფიციართა რაოდენობის თვალსაზრისით. ამ ეტაპზე შესაძლოა ასევე საჭირო გახდეს ნებისმიერი ტერიტორიული ელემენტის (მაგ. სამიზნე ტერიტორია / მთიანი ადგილები / დაბლობი ადგილები / სოფელი და ა.შ.) იდენტიფიცირება, რომელიც ჩართული უნდა იქნეს.

- საბოლოო, მიწოდების ფაზა მოიცავს სქემის გამოყენებას (რაც მოიცავს მარკეტინგსა და მხარდაჭერას), რაც შედეგად მოიტანს რესურსებს ბენეფიციარებისთვის (ფინანსურ სახსრებს, ტექნიკურ კონსულტაციას და ა.შ.), ეს კი განაპირობებს აქტივობას ადგილზე, რომელმაც უნდა მოიტანოს დაგეგმილი შედეგი. მონიტორინგისა და შეფასების სისტემასთან შესაბამისობის მიზნით აღნიშნული რესურსები, აქტივობები და შედეგები უნდა გაიზომოს და დაფიქსირდეს.

სურ. 4. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვის მხარდაჭერის პროცესის მოკლე მიმოხილვა



6.3 სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის როლები

სოფლის განვითარების სფეროში ევროკავშირის ჩარჩოს და სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში ძალზე მნიშვნელოვანია არასახელმწიფო მხარეთა როლი და პასუხისმგებლობა. ზოგადად სასურველია, რომ პროცესს ისინი წარმართავდნენ (მიდგომა „ქვემოდან ზემოთ“), ხოლო სახელმწიფო დამხმარე და ხელშემწყობ გარემოს უქმნიდეს, რომელშიც კერძო სექტორი და თემები შეძლებდნენ ეფექტიანად მოქმედებას და პრობლემების მოგვარებას. ეს საკითხი ჩადებულია 2017-2020 წლების სტრატეგიაში და მისი შემდგომი დახვეწა და გაგრძელება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 სტრატეგიაშია გათვალისწინებული.

სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის გაძლიერება, იმგვარად, რომ მათ შეძლონ საკუთარი პრობლემების თავად მოგვარება, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია და აისახება ისეთი პლატფორმებისა და მექანიზმებისთვის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის მინიჭებაში, როგორიც არის პროგრამა LEADER, რათა ისინი სოფლის განვითარების მამოძრავებელ ძალად იქცნენ. და თუმცა ადგილობრივი განვითარების ჯგუფები შედარებით ახალი ფენომენია საქართველოში, მათ აჩვენეს საკუთარი როლის მნიშვნელობა და ღირებულება ევროპის სხვა ნაწილებში. ისინი ცენტრალურ როლს თამაშობენ ევროკავშირის სოფლის განვითარების პოლიტიკაში

და მის განხორციელებაში. ანალოგიურად, აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფების განვითარება საქართველოში პოზიტიური მოვლენაა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მხარეთა ჩართვას სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვაში და აუცილებელი ზომების დამტკიცებასა და განხორციელებაში.

სოფლის ეკონომიკის მდგრადობისთვის საჭიროა ყველა დაინტერესებული მხარის (ქსელური თანამშრომლობის, მცირე და საშუალო დონის საწარმოების და/ან ინდივიდუალური მეწარმეების დონეებზე) ჩართულობა და რესურსების ბაზის მდგრადი სახით გამოყენება როგორც საზოგადოებრივი სიკეთისთვის, ისე თემის და კერძო სექტორის დონეზე მომსახურების მიწოდებისათვის. სახელმწიფო დონის დაინტერესებული მხარეები, როგორც ადგილობრივ, მუნიციპალურ, ისე ცენტრალურ დონეებზე, მიზნად უნდა ისახავდნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორისთვის დახმარების გაწევას პრობლემური საკითხების მოგვარებაში და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზების გამონახვაში. სახელმწიფო დონის დაინტერესებული მხარეები ადგენენ პარამეტრებს და ჩარჩოს, რომლის გარშემო შესაბამისი კანონმდებლობა, რეგულაციები და ხელშემწყობი გარემო იმოქმედებს სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის საჭიროებებზე რეაგირებისთვის. ამას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ჩართული მხარეების შესაძლებლობებისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებისთვის, ასევე იმისთვის, რომ იმ მხარეებმა, რომლებისთვისაც ყველაზე შესაფერისია გარკვეული როლები და ამოცანები, აიღონ პასუხისმგებლობა ამ როლებზე და შექმნან იმის შესაძლებლობა, რომ შედარებითმა უპირატესობამ ეფექტიანად იმუშაოს.

6.4 თემზე დაფუძნებული მიდგომის როლი – ადგილობრივი განვითარების ჯგუფები და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები

გადაწყვეტილებათა მიღებისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების დაგეგმვის პროცესებში ადგილობრივი მხარეების, თემების, კერძო სექტორისა და სხვა მხარეების ჩართულობისა და ხელშეწყობის მოდელები განსხვავდება ერთმანეთისაგან. საქართველოსთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების და სოფლის განვითარების პროგრამების ევროკავშირისეულ დაგეგმვასთან საქართველოს ჰარმონიზებისა და ასოცირების კონტექსტში, ევროკავშირის ჩარჩოს, კერძოდ, მოდელი LEADER[25]-ის „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომის (იხ. სურათები 5 და 6, ხოლო LEADER-ის როლის მაგალითის სახით „ხულოს მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა) ფარგლებში არსებული მოდელები, წარმოდგენილია როგორც სოფლის განვითარების დაგეგმვისა და პროგრამირების პროცესში თემების მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშემწყობი მექანიზმი და პლატფორმები.

ამას გარდა, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ შეიმუშავა თემების ჩართულობის საკუთარი პლატფორმა, რომლის მეშვეობით პროცესში აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები მონაწილეობენ, და მიიღო როგორც აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფების, ისე LEADER-ის ადგილობრივი განვითარების ჯგუფების ჩართულობის მოდელი. აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები სოფლებში არსებული სპეციალური ჯგუფებია, რომელთა მოხალისეები ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და სხვა მხარეებთან ერთობლივად მუშაობენ დაგეგმვისა და განვითარების პროცესში დაინტერე-

სებულ მხარეთა კონსულტაციებისა და ჩართვის ხელშესაწყობად და ამის საშუალებების შესაქმნელად. ეს ხელს უწყობს ადგილობრივი ქმედებების გატარებას და სოფლის ეკონომიკის გაძლიერებისკენ მიმართულ სხვადასხვა აქტივობაში ჩართული მხარეების მხარდაჭერას. ამჟამად დაახლოებით 46 აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფი არსებობს. ისეთი მექანიზმის არსებობა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ადგილობრივი თემის მონაწილეობა გამოწვევებთან გამკლავებაში და შესაძლებლობების წარმოქმნაში, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად თემებისთვის, არამედ ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების დაწესებულებებისა და ორგანოებისთვისაც, რომლებიც ცდილობენ პროგრამების იდენტიფიცირებას და ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის გზების გამონახვას. აღნიშნული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია თემისა და ადგილობრივი მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან პლატფორმად არის აღიარებული – სოფლის განვითარების დაგეგმვისა და პროგრამების შემუშავების კონტექსტში ადგილობრივ მხარეთა მონაწილეობა მნიშვნელოვანია პრობლემების გადაჭრის გზების, პრიორიტეტებისა და საჭირო ზომების დასადგენად.

აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ უნდა გააგრძელოს თემების ჩართვის მიდგომის ორივე – ადგილობრივი განვითარების ჯგუფებისა და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფების – მიმართულებით მუშაობა, დახვეწოს ეს მიდგომები ადგილობრივი პირობებისა და იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს თანამშრომლობაზე დამყარებული სასწავლო დღის წესრიგის ჩართვა ორივე მოდელის განხორციელების პროცესში და შექმნას მოქნილობის შესაძლებლობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უფრო შეეფერება კონკრეტულ თემებსა და მუნიციპალიტეტებს. ქედასა და ხულოს მუნიციპალიტეტებმა LEADER მიდგომა არჩიეს და მათ ორი ადგილობრივი განვითარების ჯგუფი აქვთ. ამას გარდა, ისინი აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფების მოდელსაც იყენებენ. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია უნდა შეეცადოს ორივე პლატფორმის მხარდაჭერას და იმის უზრუნველყოფას, რომ შესაბამისმა მუნიციპალიტეტმა და სამთავრობო დაწესებულებამ ადგილობრივი განვითარების ჯგუფებთან და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფებთან ერთად დაადგინონ ყველაზე შესაფერისი საშუალება სოფლის განვითარების ზომების ეფექტიანად განხორციელების მიზნით გამოსაყენებლად.

7. ინსტიტუციური დაინტერესებული მხარეები

7.1 საქართველოს მთავრობა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო[26]

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითადი ფუნქციაა, სხვა საკითხებთან ერთად, (ა) გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; (ბ) ბუნებრივი რესურსების (გარდა სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობის და გაზისა) მართვა სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება; (გ) ქვეყანაში მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპების განხორციელების ხელშეწყობა; (დ) გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ორგანიზება. სამინისტრო პასუხისმგებელია სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, მართვასა და განხორციელების ზედამხედველობაზე, მისი შესაბამისი დეპარტამენტების მეშვეობით. სამინისტროს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის სრული ჩამონათვალი იხ. მის ვებგვერდზე: https://mepa.gov.ge/Ge/Page/regulation. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში რამდენიმე სააგენტოა. სოფლის განვითარების სააგენტოს[27] ფუნქციაა სოფლის განვითარების პროგრამების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, კოოპერატივების განვითარების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამუშავების პროგრამების დაგეგმვა.

7.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციაა პოლიტიკის ჩამოყალიბება, სტრატეგიის შემუშავება და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ხელშეწყობა,[28] ასევე სხვა სამინისტროებთან თანამშრომლობა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვის ხელშესაწყობად. სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის გარემოს დაცვა, სასოფლო-სამეურნეო საკვები პროდუქტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამუშავება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, ცხოველების მოშენება, შინაური ცხოველები, თევზის სარეწები, აგრო ინჟინერია და ვეტერინარია.

ქვემოთ ჩამოთვლილია სამინისტროს რამდენიმე ძირითადი ამოცანა:

> (ა) გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა; (ბ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული სექტორებისა და მიმართულებების განვითარების მიზნით შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება; (გ) კანონპროექტების ან სხვა ნორმატიული აქტების

[26] https://mepa.gov.ge/Ge/Page/regulation
[27] http://www.rda.gov.ge/
[28] http://adjara.gov.ge/branches/publicinfofiles.aspx?pubid=175&gid=4

მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნის და გაუმჯობესების მიზნით; (დ) სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა ქვეყანაში არსებული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით; (ე) პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამუშავების და საკვები პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა; (ვ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების საშუალებებსა და ახალ ტექნოლოგიებზე წვდომის გაზრდა; (ზ) სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტების წარმოებასა და რეალიზებაში საერთაშორისო გამოცდილების დამკვიდრების ხელშეწყობა; (თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა; (ი) ცხოველთა მოშენების, სანერგეებისა და მცენარეთა დაცვის აქტივობათა შემუშავების ხელშეწყობა; (კ) სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის დანერგვა საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად. სამინისტროს ამოცანების დეტალური ჩამონათვალი იხ. ვებგვერდზე:[29] (http://adjara.gov.ge/branches/publicinfo-files.aspx?pubid=175&gid=4)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკვანძო როლს ასრულებს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებაში და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სასოფლო-სამეურნეო ასპექტების განხორციელებაში. სამინისტრო ხელმძღვანელობს სტრატეგიის შემუშავებას და პასუხისმგებელია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების კონკრეტულ ელემენტებზე (ზომებზე), კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის, კონკურენტუნარიანობისა და საკვები პროდუქტების სისტემების განვითარების კუთხით. სოფლის განვითარების სტრატეგიის კონკრეტულ ზომებზე პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს სოფლის განვითარების საბჭოს მიერ; საბჭომ უნდა დაადგინოს, რომელი მხარეა უფრო შესაფერისი და რესურსებით აღჭურვილი შესაბამისი ზომების განსახორციელებლად. ეს უნდა იყოს სოფლის განვითარების საბჭოს, როგორც კოორდინატორის, შეთანხმებული როლის ნაწილი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასრულებს სოფლის განვითარების საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას (იხ. ცხრილი 2).

სოფლის განვითარების საბჭო უმნიშვნელოვანესი ორგანოა სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში და მასში წარმოდგენილია რამდენიმე დაინტერესებული მხარე, თითოეული კონკრეტული ფუნქციით. ეს ფუნქციები ხელს უწყობს სოფლის განვითარებას და განსაზღვრულია სამინისტროს პასუხიმგებლობებში (იხ. ცხრილი 2). ამ თვალსაზრისით სოფლის განვითარების საბჭო კრიტიკულ როლს თამაშობს მისი წევრების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების კოორდინირებაში, განსაკუთრებით კი სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესის ზოგად მართვაში.

კოორდინირებისა და მართვის როლის მნიშვნელოვანი ნაწილია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც განისაზღვრება კონკრეტული აქტივობები და ამოცანები სტრატეგიაში იდენტიფიცირებული თითოეული ზომის ფარგლებში. სამოქმედო გეგმამ უნდა დაადგინოს და წარმოადგინოს დეტალური რესურსები, გრაფიკი და შესაბამისი მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობები სოფლის განვითარების სტრატეგიის შესრულებაში. სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება სოფლის

განვითარების საბჭოსთან ერთობლივად, გაეროს განვითარების პროგრამის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროექტის დახმარებით.

იდეალურ შემთხვევაში სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს სტრატეგიის მოქმედების მთელი პერიოდისათვის ან, სულ მცირე, საბიუჯეტო ციკლის საფუძველზე, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში სამწლიან პერიოდზე მეტია. მიზანშეწონილია სამწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, აქედან, თუ შესაძლებელია, მეორე და მესამე წლები ნაკლებად დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი, რათა შესაძლებელი გახდეს ნებისმიერი აუცილებელი შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა, ხოლო პირველი წელი უფრო დეტალურად უნდა გაიწეროს. სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა დაიწყოს სტრატეგიის მიღებისა და დამტკიცების შემდეგ.

7.2.1 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – მუნიციპალიტეტები

ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოების – მუნიციპალიტეტების ფუნქციაა გარკვეული დეცენტრალიზაციის და ადგილობრივ დონეზე უფლებამოსილების უზრუნველ-ყოფა ადგილობრივი დონის დაგეგმვისა და მომსახურების მიწოდების მიზნით. ამ მხრივ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ზოგიერთი ძირითადი ფუნქცია თვითმმართველ ერთეულებს უკავშირდება, რომლებიც სრულად ავტონომიურები არიან საკუთარი ბიუჯეტების დაგეგმვაში და აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტები. ადგილობრივი თვით-მმართველი ერთეულების საკუთარი შემოსავლები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, გამოთანაბრებით ტრანსფერებს და სხვა ფულად შემოსავლებს. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში სხვა ბიუჯეტებიდან გამოყოფილი თანხები მოიცავს სპეციალურ და პირობით გადარიცხვებს და სხვა ფულად შემოსავლებს. თუმცა ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოები ეროვნული ბიუჯეტიდან გადარიცხვებზე დამოკიდებულნი რჩებიან, ვინაიდან ადგილობრივი შემოსავლები ძალზე მცირეა და გათანაბრების სისტემა არ მოქმედებს. შესაბამისად, ადგილობრივი თვით-მმართველი ერთეულების ფისკალური დამოუკიდებლობა შეზღუდულია, ხოლო ფისკალური დეცენტრალიზაცია ეფექტიანად არ ფუნქციონირებს.

ადგილობრივი თვით-მმართველი ერთეულების ექსკლუზიური კომპეტენციებია:

- მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- მუნიციპალური ქონების მართვა და მოვლა-შენახვა;
- ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მართვა;
- ადგილობრივი დაბეგვრის შემოღება და გაუქმება;
- ურბანული დაგეგმარება;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- ადგილობრივი წყალმომარაგების უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი განათლების მართვა;
- ადგილობრივი საავტომობილო გზების მართვა;
- ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვა;
- ღია ბაზრისა და გამოფენის მართვა;

- მშენებლობის ნებართვების გაცემა;
- გარე რეკლამის მართვა;
- სასაფლაოების ორგანიზება;
- უსახლკარო ადამიანების რეგისტრაცია და მათთვის თავშესაფრის უზრუნველყოფა;
- სახანძრო უსაფრთხოების და დახმარების უზრუნველყოფა.

7.3 სამოქალაქო საზოგადოება

სასოფლო დასახლებების მდგრადი განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების, მისი ორგანიზაციებისა და წარმომადგენლობითი ორგანოების როლი. ამ მხრივ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის განვითარების წინა ხაზზე არიან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები – ადგილობრივი განვითარების ჯგუფები და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფები. და თუმცა არიან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი სხვა ორგანიზაციებიც, აღნიშნული ორი სტრუქტურა ის ძირითადი სტრუქტურებია, რომელთა გარშემო მიმდინარეობს სოფლის განვითარების სფეროში ადგილობრივი დაგეგმვა და პროგრამირება.

ეს ჯგუფები პასუხისმგებელნი არიან იმაზე, რომ უზრუნველყონ ინკლუზიური და მონაწილეობითი მიდგომა და ხელი შეუწყონ მოქალაქეების შეხედულებებისა და ადგილობრივი თემების მისწრაფებების გამოხატვას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხედავენ სოფლის განვითარების დაგეგმვას, პრიორიტეტებსა და განხორციელებას შესაბამის სფეროებში. ისინი მუნიციპალური და რეგიონული მთავრობისთვის უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პროგრამაში ჩართვის, მისი ერთობლივად დაგეგმვისა და მისი ასპექტების განვითარების საშუალებებს, რაც წარმოქმნის ადგილობრივი საჭიროებებისა და მისწრაფებების შესაბამისი კონკრეტული ნიუანსებისა და პრიორიტეტების ასახვის შესაძლებლობას. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის განვითარების პროგრამირების მდგრადობისა და მასზე პასუხისმგებლობისათვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი საკითხების ადგილობრივი გადაწყვეტების გამონახვისათვის და ადგილობრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის.

7.4 კერძო სექტორი

კერძო სექტორის როლი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მხარდაჭერაში და პროგრამების დაგეგმვაში ამ პროცესის აქტიური მონაწილის სახით ასევე ძალზე მნიშვნელოვანია (კერძო სექტორი სოფლის განვითარების საბჭოში სავაჭრო პალატის[29] მიერ არის წარმოდგენილი) მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ასევე საჯარო სექტორის (მუნიციპალური და რეგიონული მთავრობა) ფუნქციების შესავსებად. კერძო სექტორის წარმომადგენლები სხვადასხვა გზით შეიძლება იქნენ ჩართულები. ყველაზე შესაფერისი ალბათ ადგილობრივი განვითარების ჯგუფებისა და აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფების მეშვეობით ჩართულობაა, თუმცა მათი მონაწილეობა შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებსა და გარემოებებში საჯარო-კერძო პარტნიორობის სახით, კონკრეტული საკითხების მოსაგვარებლად. მაგალითად, კერძო სექტორის ჩართულობა საჯარო-კერძო

[29] https://www.chamber-commerce.net/dir/2043/Chamber-of-Commerce-and-Industry-of-Adjara-in-Batumi

პარტნიორობის მეშვეობით და როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე მუშაობა და მომსახურების გაწევა (მაგ. ინფრასტრუქტურა, გზები, კომუნიკაციები და ა.შ.), ისე კერძო სექტორის ინვესტიციების განხორციელება და მართვა ის გზებია, რომლებითაც ხელისუფლების რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ ეფექტიანად გამოიყენონ და ჩართონ კერძო სექტორი საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში.

7.4.1 აგრო სერვის ცენტრი

„აგროსერვის ცენტრი“ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რომელიც შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სტრუქტურაში და უშუალოდ მინისტრის წინაშეა ანგარიშვალდებული. მისი სამუშაო შეესაბამება სამინისტროს სტრატეგიულ მიზნებს – „სერვისებზე წვდომის და ეფექტიანობის გაუმჯობესება“ და „ინსტიტუციური განვითარება“ – ძირითადად ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

აგროსერვის ცენტრი ფერმერთა დამხმარე ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ხელშეწყობის უაღრესად მნიშვნელოვანი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ მათი ყურადღება გამახვილებულია როგორც გამოყენებით კვლევებზე, ასევე ფერმერებისთვის ინფორმაციის გავრცელებასა და მომსახურების მიწოდებაზე, რომელიც მოიცავს როგორც მიწათმოქმედებას და მართვას, ისე მეცხოველეობის მომსახურებას, ისინი, როგორც ცვლილების აგენტები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის განვითარებაში.

აგროსერვის ცენტრის ძირითადი ფუნქციებია: 1)[30] ფერმერებისთვის გაუმჯობესებული თესლისა და რესურსების მიწოდება; 2)[31] ფერმერებისთვის ტექნიკური კონსულტაციისა და დახმარების გაწევა; 3) ცხოველთა მოშენების სერვისების გაწევა ხელოვნური განაყოფიერებისა და გაუმჯობესებული გენეტიკის მეშვეობით.

აგროსერვის ცენტრს კარგი შესაძლებლობა აქვს საიმისოდ, რომ გააგრძელოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობის ძალისხმევა. ამას გარდა, **სოფლის განვითარების უფრო ფართო კონტექსტში მას შეუძლია სხვა ფუნქციების აღებაც,** რომლებიც გულისხმობს **სოფლის საწარმოების დივერსიფიცირების ხელშეწყობას როგორც სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების, ისე წარმოების შემდგომ დონეებზე,** მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაკავშირებას სასოფლო-სამეურნეო თემის წევრებთან და სასოფლო საწარმოების დივერსიფიცირების ხელშეწყობას, მათ შორის სოფლად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც უკავშირდება საკვები პროდუქტების სექტორს და არატრადიციულ სასოფლო ტურიზმს. ამ კონტექსტში აგროსერვის ცენტრს შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვის „სოფლის განვითარების სააგენტოს“ როლის შესრულება. ეს ის საკითხია, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭომ უნდა შეისწავლოს და განიხილოს თავის შემდგომ საქმიანობაში.

[30] ანუ ციტრუსების, ხილისა და ბოსტნეულის ახალი სახეობებისა და ჯიშების (განსაკუთრებით ადრეული ჯიშების) შემოღება, გატესტვა და განაწილება; ხილის და ციტრუსების პლანტაციების განახლება; ყურძნის სახეობების განახლება და ახლების შემოღება (სუფრის, სუფრის ღვინის და ღვინის); დეკორატიული მცენარეების მოშენება; ადგილობრივი და ტრადიციული სახეობების შენარჩუნება.

[31] ანუ მებაღეობისა და მეცხოველეობის ცალკეულ ასპექტებში ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ფერმების განვითარება; ფერმერთა ცოდნის გაუმჯობესება თეორიული, პრაქტიკული და საველე ტრენინგების გზით; ფერმერთა თანამშრომლობის ხელშეწყობა (ასოციაციების შექმნის და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა).

7.4.2 საინფორმაციო საკონსულტაციო მომსახურება

საინფორმაციო ცენტრების ფუნქციაა სპეციალური ქსელის შექმნა, სადაც ფერმერები და სოფლის მცხოვრებნი მიიღებენ ინფორმაციას და ტექნიკურ რჩევებს სოფლის მეურნეობის ასპექტებსა და სოფლის განვითარების საკითხებზე. საინფორმაციო ცენტრები საკონსულტაციო მომსახურებას გაწევენ როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის პლატფორმებით, მონაცემთა ბაზაზე დისტანციური წვდომით, ისე პირადი კონტაქტის მეშვეობით. აგრო სერვის ცენტრებისა და საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრების პოტენციური მომხმარებლები და ბენეფიციარები, სოფლის მეურნეობის სფეროს პროფესიონალი და კომერციული ოპერატორების გარდა, ძირითადად არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო რეგიონებში მცხოვრები ადამიანები (მოსახლეობის 50%-ზე >), ვინაიდან ფერმერული და მეცხოველეობის საქმიანობა მათი საარსებო წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილია. დივერსიფიცირებული სერვისების მიწოდება უნდა მოერგოს ფერმების სტრუქტურას და სხვადასხვა ფერმერულ სისტემას, იმ პოტენციური სარგებლის მიხედვით, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს და მოხდეს სხვადასხვა რესურსისა და სერვისის დაფინანსება. საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრების მომსახურება მოიცავს ტრენინგებს და პროფესიულ მომზადებას (ჯგუფურ შეხვედრებს, ინდივიდუალურ ვიზიტებს, სასწავლო მასალების გავრცელებას და ა.შ.); მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხელოვნურ განაყოფიერებას; აგრო სერვის ცენტრის მიერ წარმოებული რესურსების (თესლები, ნერგები, სხვა პროდუქტები) მიწოდების ხელშეწყობას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „სპეციალური მიზნობრივი პროექტების“ განხორციელების მხარდაჭერას.

7.4.3 აგრობიზნესი (რესურსების მიწოდება, დამატებული ღირებულება და დამუშავება, პროდუქციის შენახვა და გაერთიანება)

აგრობიზნესის სექტორის როლი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ხელშეწყობაში უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ასპექტების გაუმჯობესების (ღირებულების დამატების მეშვეობით) თვალსაზრისით, არამედ მწარმოებლებისთვის რესურსებზე წვდომის გაუმჯობესების, პროდუქციის შენახვისა და გაერთიანების გაუმჯობესების, ნიშური პროდუქტების განვითარების, დამუშავების შედეგად ღირებულების დამატების და ბაზრებთან კავშირების პერსპექტივის თვალსაზრისითაც. ეს დაინტერესებული მხარე უზრუნველყოფს არსებითი მნიშვნელობის „გამწევი ძალის“ ფუნქციას საბაზრო ჯაჭვისა და საკვები პროდუქტების სისტემისთვის, აკმაყოფილებს მომხმარებელთა ახალ მოთხოვნებს და პასუხობს ადგილობრივი, რეგიონული და საექსპორტო ბაზრების შესაძლებლობებს. მწარმოებლებსა და აგრობიზნესის ორგანიზაციებს შორის უფრო ძლიერი კავშირების დამყარება ხელს შეუწყობს სოფლის განვითარების შესაძლებლობებს, ასევე პროდუქტებისა და სერვისების დივერსიფიცირების შესაძლებლობებს.

7.4.4 კოოპერატივები და მწარმოებელთა ორგანიზაციები

საქართველოში კოოპერატივების სექტორი ბოლო 4-5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად ვითარდებოდა. ამ პროცესს დონორები და მთავრობის პროგრამები უწევდნენ დახმარებას,

რაც მიმართული იყო პროდუქტიულობის და წარმოების მასშტაბის ეფექტის გაზრდაზე მცირე ფერმერთა შორის. საქართველოში დაახლოებით 1400 კოოპერატივი არსებობს,[32] აქედან 70-ზე მეტი კოოპერატივი აჭარაშია რეგისტრირებული. კოოპერატივები განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა, თუმცა ჯერჯერობით უმეტესად კვლავ ემბრიონულ ფორმაში არიან, განსაკუთრებით, როდესაც საქმე მარკეტინგსა და მომსახურების გაწევაში მათ როლს ეხება. 2014 წლიდან კოოპერატივების აქტივების საშუალო ღირებულება 300%-ით გაიზარდა და 62.3 მილიონი ლარის ტოლია, აქედან საშუალოდ 227,000 ლარი იმ 281 კოოპერატივზე მოდის, რომლებსაც 2014-2017 წლებში პროგრამა ENPARD-ი უწევდა დახმარებას. წარმოების საშუალო ღირებულება 2017 წელს 2014 წელთან შედარებით 37%-ით გაიზარდა. კოოპერატივების მომგებიანობა განსხვავებულია, არსებული ტენდენციით, შედარებით მცირე ზომის კოოპერატივები უფრო მომგებიანია. მომგებიანობის თვალსაზრისით ძირითადი ქვე სექტორები იყო მეფუტკრეობა, ბოსტნეული და რძის პროდუქტები. მათი შემოსავლები აქტივებიდან უფრო მაღალი იყო, ვიდრე ისეთი პროდუქტების ღირებულების ჯაჭვებისა, როგორებიც არის კენკროვანები, თხილი და მარცვლეული კულტურები, რომელთაც აქტივებიდან ყველაზე დაბალი შემოსავლები ჰქონდათ. საშუალო პოზიციაზეა კარტოფილი და მევენახეობა.[33] მხოლოდ ორ – კარტოფილისა და თხილის – ქვე სექტორში აღინიშნება უფრო დიდი კოოპერატივების უპირატესობები მასშტაბის ეკონომიის თვალსაზრისით. კოოპერატივების განვითარებასა და მდგრადობაში საკვანძო ფაქტორია ძლიერი ხელმძღვანელობა და მართვის უნარი. კოოპერატივების შესახებ ENPARD-ის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით: „იმისათვის, რომ კოოპერატივების წევრები უფრო მეტი ენთუზიაზმით მოეკიდონ კოლექტიურ საქმიანობას, აუცილებელია ძლიერი ხელმძღვანელობა. ამას გარდა, ძლიერ ხელმძღვანელს შესწევს უნარი, მეტი ინვესტიციები მოიზიდოს კოოპერატივის განვითარებისთვის.“

7.4.5 პროფესიული განათლება და გადამზადება

სოფლად მცხოვრები მამაკაცებისთვის, ქალებისა და ახალგაზრდებისათვის პროფესიული განათლებისა და მომზადების უზრუნველყოფის როლი კრიტიკული ელემენტია სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პროგრესის ხელშესაწყობად: ამის შედეგად ადამიანები იძენენ აუცილებელ და მრავალფეროვან უნარებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის დივერსიფიცირებას, დააკმაყოფილებს მზარდ საჭიროებებსა და მოთხოვნას მრავალფეროვან სერვისებზე და უზრუნველყოფს კვალიფიციურ სამუშაო ძალას. აღნიშნული სერვისების გაწევა ძირითადად ხდება უნარების შეძენის მეშვეობით ოფიციალური (პროფესიული განათლებისა და სწავლების კოლეჯები) და არაოფიციალური გზებით სამუშაო ადგილებზე მენტორობის, შეგირდობისა და თავად დარგის ფარგლებში უნარების განვითარების საშუალებით.

ამჟამად სასოფლო დასახლებებში პროფესიული განათლების სფეროში უნარების შეძენის თვალსაზრისით მომსახურების ნაკლებობაა. თუმცა ბათუმის პროფესიულმა კოლეჯმა „ბლექსი“ წამოიწყო ინიციატივა და აღნიშნულ სერვისებს უზრუნველყოფს ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში ორი სასოფლო ფილიალის დაგეგმილი შექმნით და ამუშავებით.[34]

[32] სოფლის განვითარების სააგენტო; www.rda.gov.ge

[33] სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, როლებსაც მხარს ევროკავშირი უჭერს: საქართველოს შემთხვევა, ENPARD, 2017 წლის დეკემბერი

[34] ბათუმის პროფესიულ კოლეჯ „ბლექსისა“ და გაეროს განვითარების პროგრამას შორის შეთანხმების საფუძველზე, პროექტის ნომერი: 00097870, პროექტის სახელწოდება: „საქართველოში სოფლის განვითარების გაუმჯობესება (ENPARD 3)” http://batumiprof.ge/

პროგრამა ENPARD-ის დახმარებით პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ შეიმუშავებს მრავალ-მხრივ სასწავლო პროგრამას რამდენიმე უნარის გადასაცემად იმ სფეროებში, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნა კოლეჯის მიერ აჭარაში ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის ინდუსტრიაში უნარების ნაკლებობის შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი სექტორები, რომლებიც იდენტიფიცირებულია როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომით ბაზარზე მოთხოვნადი და შესაბამისად, სამომავლო შესაძლებლობების მქონე. ეს არის ტურიზმის ბაზარი (მოიცავს ტურიზმის არატრადიციულ ფორმებს და აგრო ტურიზმსაც); სოფლის მეურნეობის სექტორი და მშენებლობის ინდუსტრია.

ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში უნარების მნიშვნელოვანი ნაკლებობა აღინიშნება და ამ სფეროებში საჭიროა პროფესიული განათლება და სწავლება ამ უნარების გასაუმჯობესებლად:

1. სასტუმროებისა და სტუმარ-მასპინძლობის დარგის სპეციალისტი (სტუმარ-მასპინ-ძლობისა და ტურიზმის ინდუსტრია)
2. რკინაბეტონის მუშა (მშენებლობის ინდუსტრია და ინფრასტრუქტურა)
3. კანალიზაციისა და წყალმომარაგების სპეციალისტი (ინფრასტრუქტურა)
4. სანტექნიკოსი (ინფრასტრუქტურა და შინამრეწველური მომსახურება)
5. ელექტრიკოსი – ელექტროდანადგარები (ინფრასტრუქტურა და შინამრეწველური მომსახურება)
6. დაბალი და მაღალი ძაბვის ელექტრიკოსი (ინფრასტრუქტურა)
7. შემდუღებელი (ინფრასტრუქტურა და შინამრეწველური მომსახურება)
8. მცირე საოჯახო ტიპის სასტუმროს მენეჯერი (სტუმარ-მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრია)
9. სამთო გამყოლი (სტუმარ-მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრია)

ბათუმის პროფესიულ კოლეჯის „ბლექსი,“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)[35] დახმარებით, აქვს შესაძლებლობა, ზემოხსენებულ დარგებში ტრენერებსა და მასწავლებლებს ჩაუტაროს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების კურსები, რათა პროფესიული განათლების მიმწოდებელ ძირითად კადრებს მისცეს შესაძლებლობა, მოამზადონ ახალგაზრდების ახალი თაობა აღნიშნულ სფეროებში წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობებისათვის, როგორც ეს იდენტიფიცირებულია ადგილობრივი ეკონომიკის შესაბამის ქვესექტორებში. პროფესიულმა კოლეჯმა „ბლექსი“ გაეროს განვითარების პროგრამასთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის საფუძველზე წამოიწყებს ტექნიკური და პროფესიული მომზადების ყოვლისმომცველ პროგრამას, რათა მოამზადოს ადგილობრივი შრომის ბაზარი აღნიშნულ სფეროებში წარმოქმნილი შესაძლებლობებისათვის. ამ პროგრამის ფარგლებში კოლეჯი „ბლექსი“ ჩაატარებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების კურსებს თავისი ტრენერებისა და მასწავლებლებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში, ხოლო ისინი, თავის მხრივ, გამოყოფენ პროფესიულ უნარებში მომზადების სპეციალისტს, რომელიც სოფლის მცხოვრებთათვის – მამაკაცების, ქალებისა და ახალგაზრდებისთვის – მომზადების დროულ და ეფექტიან პროგრამებს ჩაატარებენ.

1. სულ მცირე 6 კოლეჯის მენეჯერი და პროფესიული მომზადებისა და სწავლების 10 ახალი პედაგოგი, რომლებიც გადამზადებულნი იქნებიან პედაგოგიურ უნარებში;
2. სულ მცირე პროფესიული მომზადებისა და სწავლების 10 ახალი პედაგოგი, რომლებიც გადამზადებულნი იქნებიან სექტორის პროფესიულ უნარებში 7 პროფესიაში;
3. სულ მცირე პროფესიული მომზადებისა და სწავლების 10 ახალი პედაგოგი, რომ-ლებიც გადამზადებულნი იქნებიან საინფორმაციო ტექნოლოგიებში;
4. სულ მცირე 10 სრულწლოვანი პირი გადამზადდება ელექტრიკოსის პროფესიაში;
5. სულ მცირე 12 სრულწლოვანი პირი გადამზადდება შემდუღებლის პროფესიაში;
6. სულ მცირე 12 სრულწლოვანი პირი გადამზადდება რკინაბეტონის მუშის პროფესიაში;
7. სულ მცირე 12 სრულწლოვანი პირი გადამზადდება კანალიზაციისა და წყალმომარაგების სპეციალისტის პროფესიაში;
8. სულ მცირე 12 სრულწლოვანი პირი გადამზადდება სასტუმროს სპეციალისტის პროფესიაში;
9. სულ მცირე 12 სრულწლოვანი პირი გადამზადდება მცირე საოჯახო ტიპის სასტუმროს მენეჯერის პროფესიაში;
10. ბათუმის პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დონეზე ჩამოყალიბებულია და მოქმედებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი;
11. მოქმედებს გარე მონიტორინგი.

ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მდებარე თავისი რეგიონული ფილიალების მეშ-ვეობით პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“ შემდეგ ძირითად აქტივობებს განახორციელებს:

აქტივობა 1) ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში საკონსულტაციო მექანიზმების განვითარება და ფუნქციონირების გაუმჯობესება, დაინტერესებულ მხარეებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით.

აქტივობა 2) პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ ქედისა და შუახევის რეგიონული ფილიალების შესაძლებლობათა გაძლიერება პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსების ჩასატარებლად.

აქტივობა 3) პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსების ჩატარება მთიან აჭარაში (ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში) მცხოვრები ზრდასრული ადამიანებისათვის.

8. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პრიორიტეტები და ღონისძიებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2020[35] წლების სოფლის განვითარების სტრატეგიამ დაადგინა შემდეგი უმთავრესი მიზნები:

ა) ეკონომიკური:

1. სოფლის მეურნეობასთან, მეტყევეობასა და სასოფლო რეგიონებთან დაკავშირებული ცოდნისა და ინოვაციების გაზიარების ხელშეწყობა;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ტიპის სოფლის მეურნეობის ფერმების სიცოცხლისუნარიანობის და კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ინოვაციური ფერმერული ტექნოლოგიებისა და ტყეების მდგრადი მართვის ხელშეწყობა;
3. საკვები პროდუქტების ჯაჭვის ორგანიზების (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამუშავებისა და მარკეტინგის ჩათვლით), ცხოველის კეთილდღეობის და რისკების მართვის ხელშეწყობა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორებში.

ბ) გარემოსდაცვითი:

4. სოფლის მეურნეობასთან და მეტყევეობასთან დაკავშირებული ეკოსისტემების აღდგენა, შენარჩუნება და გაფართოება;
5. რესურსების ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობაში, საკვები პროდუქტებისა და სატყეო სექტორებში ნახშირბადის დაბალი შემცველობის და კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგ ეკონომიკაზე გადასვლის მხარდაჭერა.

გ) სოციალური:

6. სასოფლო რეგიონებში სოციალური ჩართულობის, სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წლებისათვის აღიარებს აღნიშნული მიზნების გაფართოებისა საჭიროებას. მოცემული სამ პლატფორმიანი მიზნები კვლავაც მნიშვნელოვანია სოფლის განვითარების საერთო ხედვის განხორციელებისთვის. ძლიერი და ქმედითი სოფლის მეურნეობის სექტორი და ბუნებრივი რესურსების მართვა საჭიროა იმ მტკიცე ბაზის უზრუნველსაყოფად, რომელზე დაყრდნობითაც სოფლის განვითარება შეძლებს წინ მოძრაობას. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი პროდუქტიულობის და კონკურენტუნარიანობას გაზრდას. მსგავსად ამისა, სოფლის განვითარებისთვის ასევე საჭიროა ჯანსაღი და მდგრადი გარემო, რომელზეც დამოკიდებულია საკვები პროდუქტების და სოციალური თუ კულტურული სისტემები. სამივე მთავარი მიზნის დაკავშირება ძლიერ და ქმედით სოციალურ და სათემო სტრუქტურებთან

[35] კიარონ გარონი, აჭარის 2016-2020 წლების სოფლის განვითარების სტრატეგია, პროექტი „სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“, დაფინანსებული ევროკავშირის და აჭარის მთავრობის მიერ და განხორციელებული გაერო-ს განვითარების პროგრამის მიერ, 2016 წლის მარტი.

(იხ. სურ. 5) და იმ პლატფორმებისა და მექანიზმის არსებობა, რომელთა დახმარებით ადგილობრივი თემებისთვის ხელმისაწვდომი გახდება რესურსები, შემდგომი ინვესტირება რესურსებში, ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება თემებში და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დაკავშირება ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებთან, ხელს შეუწყობს ადგილობრივი პრობლემების დადგენას და მათი გადაწყვეტის გზების გამონახვას. ეს სამი ყოვლისმომცველი მიზანი კვლავაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალ სტრატეგიაში.

მსგავსად ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის ეროვნული სტრატეგიის (2021-2027) განხილვისას იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი სამი მიზანი:

1 კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები;
2 ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
3 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემების დანერგვა.

სოფლის განვითარებისკენ მიმართული ზომების დადგენისას საჭიროა ხელმძღვანელობა შემდეგით:

1) ყოვლისმომცველი შეთანხმებული მიზნები;
2) ამ მიზნებთან დაკავშირებული პრიორიტეტების კლასიფიცირება;
3) ნებისმიერი აღნიშნული მიზნის უნარი, ხელი შეუწყოს ტრანსფორმაციულ ცვლილებას; და
4) აღნიშნული მიზნების მისაღწევად ხელმისაწვდომი საბიუჯეტო რესურსების გამოყოფა.

სოფლის განვითარების ნებისმიერ მოცემულ სქემასა თუ პროგრამაში დადგენილი იქნება ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პროგრამის მიზნების შესრულებას და მოსალოდნელი შედეგების მიღებას (იხ. თავი 8[36]). სოფლის განვითარების ზომების ჩამოყალიბება ერთობლივი ამოცანაა, რომელშიც მრავალი დაინტერესებული მხარე უნდა იყოს ჩართული.

[36] სოფლის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა აუცილებელს გახდის სოფლის განვითარების ძირითადი ზომების ჩამოყალიბებას და თითოეული ზომისთვის რესურსების გამოყოფას. ეს იქნება სოფლის განვითარების სტრატეგიის დამტკიცების და მიღების შემდეგ სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების პროცესის ნაწილი.

სურათი 5. სოფლის განვითარების სტრატეგიის გზამკვლევი, მთავარი სტრატეგიული მიზნებისა და ღონისძიებების ხედვასთან კავშირი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს, მასში წარმოდგენილი ფართო სპექტრის დაინტერესებული პირებით და შიდა სამუშაო ჯგუფებით, იდეალური მდგომარეობა უკავია საიმისოდ, რომ დაადგინოს პრიორიტეტული პროგრამები, თითოეულ პროგრამაზე მორგებული შესაბამისი ზომები და ამ ზომების განსახორციელებლად საჭირო რესურსების განაწილება. პრიორიტეტულ სფეროებსა და მიზნებზე დაყრდნობით ქვემოთ ჩამოთვლილი ზომები დადგენილია, როგორც 2021-2027 წლების სტრატეგიაში პოტენციურად ჩასართავი.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის მიზნებს (2021-2027), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის მიზნებს (2017-2020) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სოციალური, კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო გარემოს ხასიათს, <u>მისი სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიისთვის შემდეგი ყოვლისმომცველი სამი მიზანია წარმოდგენილი.</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭო დაადგენს საბოლოო მიზნებს, პროგრამებსა და ზომებს, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს აღნიშნული პერიოდისთვის. სამ იდენტიფიცირებულ მიზანს ემატება სამი პრიორიტეტული სფერო სოფლის განვითარების პროგრამისთვის. აღნიშნული სამი პრიორიტეტული სფერო იდენტიფიცირებულია საველე და ობიექტებზე განხორციელებულ ვიზიტებზე და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით. საჭიროა მათი შემდგომი დადასტურება და/ან მოდიფიცირება სოფლის განვითარების საბჭოს სამუშაო ჯგუფის მიერ დაგეგმილი რესურსების გათვალისწინებით. ეს პრიორიტეტული სფეროებია:

პრიორიტეტული სფერო „ა“: სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მართვა, რაც შესაბამისობაშია **1-ლ მიზანთან:** „დივერსიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა და გაძლიერებული საბაზრო კავშირები, მსხვილფეხა საქონლის ნაყოფიერების და პროდუქტიულობის გაზრდა; ეს მიზანი შესაბამისობაშია სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მართვის პრიორიტეტთან (იხ. სურ. 5, სურ. 6.1).

პრიორიტეტული სფერო „ბ“: ტურიზმის, კულტურული ტურიზმის ჩათვლით, განათლების, ახალგაზრდობის და არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების განვითარება და დივერსიფიცირება, რაც შესაბამისობაშია **მე-2 მიზანთან:** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების ბაზის მდგრადი გამოყენება პროცესში ადგილობრივი თემების ჩართულობის გაძლიერების გზით; ეს მიზანი შესაბამისობაშია ტურიზმის, კულტურის, ახალგაზრდობის და მეწარმეობის განვითარების პრიორიტეტთან (იხ. სურ. 5, სურ. 6.1) და

პრიორიტეტული სფერო „გ“: როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც შესაბამისობაშია **მე-3 მიზანთან:** „სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი თემები, რომლებიც ჩართულნი არიან მომსახურებების, ინფორმაციის, ინფრასტრუქტურისა და ბაზრებზე წვდომის დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში“; ეს მიზანი შესაბამისობაშია ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის პრიორიტეტთან (იხ. სურ. 5, სურ. 6.1).

ზემოაღნიშნული სამი პრიორიტეტული სფერო და მათი შესაბამისი ვებკომპონენტები ემყარება და ითვალისწინებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმებს, რომლებიც ხელს უწყობს სოფლის განვითარებას. ამის მაგალითია **ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების გეგმა** და სურათი 6 ქვემოთ, რომელიც გვიჩვენებს ადგილობრივ სამოქმედო გეგმებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების უფრო ფართო სტრატეგიას (2021-2027) შორის შესაბამისობის დონეს, რაც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია საქართველოს 2021-2027 წლების სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ეროვნულ სტრატეგიასთან.

სურათი 6. მუნიციპალური დონის განვითარების სტრატეგიასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების რეგიონულ სტრატეგიას შორის შესაბამისობა და ჰარმონიზება



უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი მიზნები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მართვის, ტურიზმის და ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერის უფრო ფართო სამი პრიორიტეტის განხორციელებას (იხ. სურათი 5 ზემოთ), ხოლო ისინი, თავის მხრივ, მოიცავს და უკავშირდება მუნიციპალური დონის განვითარების პრიორიტეტებს, რომელთაგან მაგალითის სახით ხულოს მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმაა მოყვანილი. ეს მნიშვნელოვანია თემების ჩართულობისა და ჩარევის მცდელობათა მდგრადობის ხელშეწყობისთვის. მიდგომას „ქვემოდან ზემოთ“ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება და საჭიროა მისი შერწყმა სოფლის განვითარების სტრატეგიის მიზნების მიდგომასთან „ზემოდან ქვემოთ“, რათა შესაძლებელი გახდეს სიცოცხლისუნარიანი და გრძელვადიანი მდგრადი მცდელობების უზრუნველყოფა, რათა მიღწეული იქნეს სასოფლო რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გაუმჯობესება მოსახლეობის სურვილების თანახმად.

8.1 მიზანი #1 – დივერსიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა და სოფლის ეკონომიკა, გაზრდილი პროდუქტიულობა მესაქონლეობაში; გაძლიერებული საბაზრო კავშირები

სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის პროდუქციის წარმოება პრიორიტეტული უნდა იყოს, რომელიც როგორც სურსათის უვნებლობის საჭიროებებს, ასევე ადგილობრივი და რეგიონული ბაზრის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. სიცოცხლისუნარიან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ოჯახების მიერ საჭირო სურსათის წარმოება, ისე ამ სურსათის შესყიდვა, რომელთაგან ორივე მდგრადი საარსებო წყაროს არსებობას მიუთითებს. ბაზარზე წვდომა უმნიშვნელოვანესია და გულისხმობს, რომ წარმოებული საქონელი, მისი ხარისხი, სტანდარტები, სურსათის უვნებლობა და პროდუქციის განვითარება ბაზრის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. გაზრდილი პროდუქტიულობა, პროდუქციის განვითარება, ნიშური და ახალი პროდუქციის ჩათვლით; ასევე, ხარისხის კონტროლი, სურსათის უვნებლობის სტან-

დარტების გამოყენება და წვდომა შენახვისა და ცივი ჯაჭვის ტექნოლოგიებზე, პირველადი და მეორადი დამუშავების შესაძლებლობები ლოგისტიკური და კონსოლიდაციის ცენტრების გამოყენებით, გაზრდილი და ხარისხის თვალსაზრისით გაუმჯობესებული მიწოდების კავშირი მოვაჭრეებთან, პირველადი და მეორადი დამუშავების შესაძლებლობების განვითარება.

8.1.1 ამოცანა – სოფლის მეურნეობის გაზრდილი პროდუქტიულობა და მეწარმეობის დივერსიფიკაცია, კონკურენტუნარიანობის და საბაზრო კავშირების გაუმჯობესება

მოსავლისა და მესაქონლეობის პროდუქტიულობა დაბალია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, როგორც ტექნიკური (მეწარმეობისა და მართვის პრაქტიკა), ისე კულტურული. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და შრომის ნაყოფიერების გაზრდა ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, პროდუქციის გაუმჯობესებულ ხარისხსა და სტანდარტებს, ბაზრისთვის პროდუქციის მოცულობის გაზრდას, გაყიდვებისა და შემოსავლების ზრდას. სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურაა ციტრუსი, ექსპორტზე ორიენტირებული, ხილისა და კაკლის მოშენება – ადგილობრივი და საექსპორტო ბაზარი (მაგ. თხილი), საბაზრო მებაღეობა და კარტოფილი – შიდა და ტურისტული ბაზარი. მეცხოველეობა – საქონლის ხორცი და რძის პროდუქტები, ძირითადად, მთის რაიონებში – ადგილობრივი და ტურისტული ბაზარი, სხვა დარგები – მევენახეობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, ჩაი, მარცვლეული (სიმინდი) და თამბაქო.

აჭარაში სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მთელ რიგ საკითხებზე, როგორიცაა პროდუქტიულობის გაზრდა ერთ ჰექტარსა და ერთ შრომის ერთეულზე, წარმოების მასშტაბი, ბაზარზე დამკვიდრება და საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი წარმოება. ციტრუსის სექტორს დაკავებული აქვს უკრაინის ბაზარი, სოფლის მეურნეობის სხვა ქვეს ექტორები ნაკლებად კონკურენტუნარიანებია. კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია, რომ წარმოება ბაზრის მოთხოვნებს და ხარისხის და სურსათის უვნებლობის სტანდარტებს შეესაბამებოდეს; ასევე, ფასი კონკურენტუნარიანი უნდა იყოს (შრომის ღირებულების ჩათვლით). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმოების სისტემებისსტრუქტურაარსებულიეკონომიკისმასშტაბებსარშეესაბამებადაორგანიზაციული და ლოგისტიკური სისტემების განვითარებას საჭიროებს. კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების დანერგვის უნარის გაზრდა, მასშტაბური ეკონომიკის განვითარება, როგორც ახალი, ისე ნიშური პროდუქტების განვითარება და ღირებულების გაზრდა პირველადი და მეორადი გადამუშავების საშუალებით. საჭიროა შენახვის, ცივი შენახვის და აგრეგაციის ჰაბების ინფრასტრუქტურაში ინვესტირების ხელშეწყობა; ასევე, ეს გულისხმობს მწარმოებლების ჯგუფების ჩამოყალიბებას, ასე შეიძლება ხარჯები შეამცირონ და მასშტაბურ ეკონომიკას მიაღწიონ. მსხვილფეხა საქონლის პროდუქტიულობა საკმაოდ დაბალია და მისი გაზრდა ადვილად შესაძლებელია კვების, მენეჯმენტის და რეპროდუქციის გაუმჯობესებით სელექციურ გენეტიკურ გაუმჯობესებასთან ერთად. ამასთან ერთად, შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების ბაზის, ამ შემთხვევაში მთისა და ალპური საძოვრების, მენეჯმენტის გაუმჯობესება, რაც მეცხოველეობის შესაძლებლობებს გაზრდის, ამავე დროს კი საქონლისა და რძის პროდუქტების პროდუქტიულობის აამაღლებს.

8.1.1.1 ღონისძიება – საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების მიერ შეთავაზებული სერვისების ხარისხისა და რაოდენობის და კერძო სექტორის ხელშემწყობი მომსახურების გაუმჯობესება. ტექნიკური კონსულტაციების ხელმისაწვდომობის და მიწოდების ხარისხის, მოსავლისა და მესაქონლეობის წარმოების და საბაზრო სერვისების შესახებ ინფორმაციის პაკეტების, ასევე სოფლის მეურნეობის სერვის ცენტრების მიერ განხორციელებული შესაძლებლობების განვითარების პროგრამების და სოფლის ბიზნესების ხელშეწყობის სერვისების გაუმჯობესება, რომლებიც კვლევებს, დემონსტრაციებს და ღია კარის დღეებს მოიცავს.

8.1.1.2 ღონისძიება – ტექნიკური და საგრანტო დახმარება ფერმერულ დონეზე პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, ახალი ჯიშების მიღება, საუკეთესო გამოცდილებებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, ფერმერების მიერ საკონსულტაციო მომსახურებების მიღება და სასაქონლო ჯაჭვის უკეთესი ქსელის განვითარება (მაგ: ციტრუსი, თხილი, კალმახი, თაფლი, მსხვილფეხა საქონელი, კარტოფილი), როდესაც ხელმისაწვდომია შენახვა, დახარისხება, შეფუთვა, პირველადი და მეორადი გადამუშავება.

8.1.2 ამოცანა. განვითარებულია აგრეგაციის, კონსოლიდაციის და ლოგისტიკის ცენტრების ოპერაციული მუშაობა, პირველადი და მეორადი გადამუშავება

ბაზრები სტანდარტიზებული და ხარისხიანი პროდუქტის სტაბილურ და თანმიმდევრულ მიწოდებას მოითხოვს. რეგულარული მიწოდების უზრუნველყოფა რთულია, როდესაც მწარმოებლებს მცირე მასშტაბის წარმოება და შეზღუდული ორგანიზაციული და სტრუქტურული შესაძლებლობები გააჩნიათ პროდუქციის შესანახად, დასახარისხებლად და შესაფუთად. შესაბამისად, ნებისმიერის სასაქონლო ჯაჭვის შემთხვევაში და საბაზრო კავშირების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მწარმოებლებს საკუთარი თავის ბაზარზე პოზიციონირება შეეძლოთ იმის საშუალებით, რომ საქონლის ხარისხი და სტანდარტი ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. ეს შეიძლება აგრეგაციის, შეგროვების და ლოგისტიკის არსებული ცენტრების განვითარებით განხორციელდეს (მაგ: გრძელვადიანი იჯარა, გაყიდვა, გაქირავება), სადაც დახარისხების, შესანახი, შესაფუთი და პირველადი და მეორადი გადამუშავების ობიექტები შეიძლება გაკეთდეს.

8.1.2.1 ღონისძიება. მარკეტინგის, საგრანტო და ტექნიკური დახმარების უზრუნ-ველყოფა თითოეული მუნიციპალიტეტის შერჩეულ ადგილებში შენახვის, ცივი ჯაჭვის, პირველადი და მეორადი დამუშავებისა და შეფუთვისთვის აგრეგაციის, ლოგისტიკური და კონსოლიდაციის ცენტრების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის

8.1.3 ამოცანა – არაფერმერული შემოსავლის და საარსებო წყაროების გაზრდა

სოფლის მეურნეობის ტრადიციული საწარმოებიდან შემოსავლის გამომუშავების დივერსიფიკაციას, იქნება ეს ფულადი სახსრები თუ უნაღდო შემოსავალი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლად საარსებო წყაროს გაუმჯობესებისთვის. მხოლოდ ეს არაა რისკის შემცირების ფაქტორი, განსაკუთრებით შემთხვევათა უმრავლესობაში, როდესაც პროდუქტიულობის გაზრდას მიწასა და საწარმოებზე წვდომის პრობლემა აფერხებს. ასეთ

შემთხვევაში პრიორიტეტულია წარმოება ოჯახის საჭიროებისთვის, ჭარბი პროდუქტის გაყიდვა, ნიშური პროდუქტების განვითარება, წვდომა ნიშურ ბაზარზე, ადგილობრივი ტურიზმის ბაზრის ჩათვლით. სოფლის მეურნეობიდან მიღებული საოჯახო შემოსავლის დივერსიფიცირება დამატებითი ღირებულების პროდუქციის განვითარებაში, ტურიზმსა და ხელნაკეთი ნივთების წარმოების, სატყეო, მაგრამ არა ხე-ტყის, პროდუქტების განვითარება; აგრეთვე, უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსების მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სერვისების განვითარების ხელშეწყობა, აქ იგულისხმება ტურისტული გზამკვლევები, სალაშქრო და ეკოტურიზმი, ასევე სათავგადასავლო ტურიზმი. ენის, ხელოსნობის უნარების, კოტეჯების ინდუსტრიის, ხელნაკეთი ნივთების ინდუსტრიის განვითარების სერვისების არსებობა სოფლის მეურნეობის დივერსიფიცირების მიზნით, სოფლის განვითარების ამოცანა უნდა იყოს, განსაკუთრებით მთის სოფლებში.

8.1.3.1 ღონისძიება – ტექნიკური და საგრანტო მხარდაჭერა უნარების შეძენისა და ტრენინგისთვის, მეწარმეობის წამოწყება ფერმერებისთვის, ახალგაზრდებისთვის და ქალებისთვის პროფესიული განათლების კომიტეტთან კავშირში

უნარების განვითარების ტრენინგის გამართვა და მეწარმეობის წამოწყების კაპიტალი (მცირე გრანტი) ქალებისა და ახალგაზრდებისათვის მათი უნარების განვითარებისთვის; სერვისებისა და პროდუქტების უზრუნველყოფა პირველადი და მეორადი გადამუშავების სფეროებში, ენის და ხელოსნობის უნარების განვითარება და სერვისების მიწოდება.

8.1.3.2 ღონისძიება ინოვაციური ჰაბების და საინკუბაციო ცენტრების დაფუძვნება და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ახალი პროდუქტების შექმნას მცირე და მიკრო ბიზნესის მხარდაჭერას და საკომუნიკაციო ტექნოლოგებთან და განვითარებული ბაზრის ინფრასტრუქტურა წვდომას

8.1.3.3 ღონისძიება პროფესიული განვითარების და პროფესიული განათლების პედაგოგების გადამზადების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტების დონეზე შესაბამისი ცენტრების დაფუძვნება

8.1.4 ამოცანა – მწარმოებელთა გაუმჯობესებული და გაძლიერებული ორგანიზაციული სტრუქტურები და განვითარებული ბაზრის ინფრასტრუქტურა

სოფლის მეურნეობის წარმოების სისტემა (მცირე ზომის და ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთების მფლობელები) და პროდუქტის წარმოების და აგრეგაციის მასშტაბის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომელიც საჭიროა მიწოდებისა და მოთხოვნის ლოგისტიკისუზრუნველყოფისთვის.უფროფართომასშტაბისეკონომიკისმიღწევაწარმოებასა და ნედლეულის მიწოდებაში შესაძლებელია მწარმოებელთა კარგად ორგანიზებული ჯგუფების საშუალებით, როგორიცაა ფერმერული ასოციაციები, ბაზრის და სერვისის კოოპერატივები, საიდანაც მწარმოებლებს შეუძლიათ უფრო იაფად იყიდონ ნედლეული, ჰქონდეთ წვდომა ბაზარზე და საქონლის უწყვეტი მიწოდება, რომელსაც უზრუნველყოფენ აგრეგაციისა და შენახვის ინფრასტრუქტურის საშუალებით; აქ იგულისხმება წვდომა კონსოლიდაციის და ლოგისტიკის ცენტრებზე, საშრობი ინფრასტრუქტურა და პირველადი

და მეორადი გადამუშავების შესაძლებლობები. ასეთი სტრუქტურები უზრუნველყოფენ ფინანსებზე გაუმჯობესებულ წვდომას.

8.1.4.1 ღონისძიება – ტექნიკური და საგრანტო დახმარების პროგრამები, არსებული მეწარმეთა ჯგუფების, კოოპერატივების და ასოციაციების გაძლიერებისთვის ან ახლების შექმნისთვის, რომელთაც მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ბიზნესის კარგად განვითარებული უნარები ექნებათ

8.1.4.2 ღონისძიება – ტექნიკური და საგრანტო დახმარების პროგრამები კოოპერატივებისათვის მწარმოებლურობის გაზრდის და მოსავლის აღების შემდგომი ღონისძიებების გასაძლიერებლად (შენახვა, გადამუშავება, დამატებითი ღირებულების შეძენა და საბაზრო ინფრასტრუქტურა)

8.1.4.3 ღონისძიება – კოოპერატივებზე ტექნიკური დახმარების პროგრამები HAC-CP და ISO სტანდარტების დანერგვაზე. რაც საშუალებას მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო თუ ადგილობრივ გამოფენებსა და სავაჭრო შეხვედრებზე

8.2 მიზანი #2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, პროცესში ადგილობრივი თემების ჩართულობის გაძლიერების გზით

8.2.1 ამოცანა. სატყეო და არამერქნული წარმოების, გაუმჯობესებული მართვა და გამოყენება; ასევე, მათი კავშირი ბაზართან.

არა მერქნული სატყეო პროდუქტები (კენკრა, ბალახები და სამედიცინო ბალახები) მთიან მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი მიმართულებებია, რომელთაც განვითარებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს დივერსიფიცირებული პროდუქტების, მცირე მასშტაბის გადამუშავება და ნიშური პროდუქტების განვითარება, რომელიც განკუთვნილია ადგილობრივი ტურიზმისა და რეგიონული ბაზრისთვის. მთიან მუნიციპალიტეტებში ეკონომიკა დამყარებულია სათემო ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე.

8.2.1 ღონისძიება – ტექნიკური და საგრანტო დახმარება ტყეების მართვის ასოციაციების შექმნისთვის.[37] მაღალმთიანი მართული ტერიტორიების თემებზე დაფუძნებული ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესება და მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა

8.2.2 ღონისძიება – ტექნიკური და საგრანტო დახმარება დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესებისთვის, დაცული ტერიტორიების ფართობის გაზრდა, ადგილობრივი თემების აქტიურად ჩართვით და მსგავს ადგილებში შემოსავლების

[37] მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ბუნებრივი რესურსების მართვაში, მაშინაც კი, თუ ის სახელმწიფოს საკუთრებაშია, უნდა ჩაერთოს ადგილობრივი თემები და მიიღონ შესაძლო სარგებელი, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივ მოსახლეობის დამატებითი და დივერსიფიცირებული შემოსავლების ნაკადებს, თემზე დაფუძნებული ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის შემუშავება და ან სახელმწიფოსგან იჯარა.

გენერირების ღონისძიებების დივერსიფიცირების გზით, როგორიცაა ეკოტურიზმი, ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, დამწყებ ბიზნესზე გრანტები და ტრენინგების უზრუნველობა.

8.2.2 ამოცანა – სოფლის ტურიზმის, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების, ტურისტული პაკეტების და სერვისების განვითარება

აჭარაში სოფლის და ალტერნატიული ტურიზმის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის განვითარებისა და სოფლის ეკონომიკის დივერსიფიცირებისთვის. ამ თვალსაზრისით უნდა მოხდეს იმ ღონისძიებების განხორციელება, რომელიც უნარების ამაღლებას და საჯარო და კერძო ინფრასტრუქტურის განვითარებას ითვალისწინებს სოფლის და ალტერნატიული ტურიზმის ხელშეწყობისთვის, რომელიც ბუნებრივ რესურსებს იყენებს, ადგილობრივ შესაძლებლობებს და უნარებს ავითარებს და სერვისის მიწოდების შესაძლებლობებს ქმნის. მზარდი ტურისტული ბაზის დაკავშირება სურსათის სისტემასთან, კულტურასა და კულინარიულ გამოცდილებასთან, გაუმჯობესებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის საშუალებით, წარმოადგენს შესაძლებლობებს, რომლებიც აჭარაში სოფლის განვითარებას გააძლიერებს.

8.2.2 ღონისძიება – საგრანტო და ტექნიკური დახმარება უნარების განვითარებისთვის, რომლებიც საჭიროა ტურისტული სერვისებისა და ტურისტებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების, განსახლების, კვების ობიექტების ცენტრებისა და მეწარმეობის სტარტაპების განვითარებისთვის ტურიზმის სექტორში

8.2.2 ღონისძიება – საგრანტო და ტექნიკური დახმარება ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, ბილიკების მოწყობა, კულტურული ღონისძიებები, კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა და დაცვა, მუზეუმები, შესაბამისი თავშესაფრები და საოჯახო სასტუმროები.

8.3 მიზანი #3. სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი თემები, რომლებიც ჩართულნი არიან მომსახურებების, ინფორმაციის, ინფრასტრუქტურისა და ბაზრებზე წვდომის დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში

8.3.1 ამოცანა. საგანმანათლებლო, ინფორმაციულ კულტურულ და საკონსულტაციო სერვისებზე და ახალ ტექნოლოგიებზე წვდომა და გამოყენება

სოფლის მეურნეობისა და სოფლის მეწარმეობის განვითარების პროცესში ახალი ტექნოლოგიებისა და საუკეთესო გამოცდილებების გამოყენებისთვის აუცილებელია საჭირო ინფორმაციისა და უნარების განვითარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა. უნდა მოხდეს ასეთი სერვისების მიწოდების, როგორც საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების, ასევე კერძო სექტორის მიერ, ხელშეწყობა და შემდგომი განვითარება სოფლის მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად. ასეთი აქცენტი უნარების შეძენაზე, მათ შორის

პროფესიული უნარების განვითარებაზე, ტრენინგებსა და ინფორმაციის გავრცელებაზე, მნიშვნელოვანია სოფლის თემების გაძლიერებისთვის და მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის, რათა მათ უნარებისა და ცოდნის შეძენა და მეწარმეობის განვითარება შეეძლოთ.

8.3.1 ღონისძიება. საგრანტო და ტექნიკური დახმარების გაწევა, საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების ჩათვლით (როგორც საკონსულტაციო მომსახურების ცენტრები, ასევე კერძო დამხმარე სერვისები და პროფესიული განათლების კომიტეტი), ტრენინგებისა და დემონსტრაციების ორგანიზება და ახალი ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ფერმის პროდუქტიულობის გაზრდას და პირველადი და მეორადი გადამამუშავებელი შესაძლებლობების განვითარებას

8.3.2 ამოცანა – ფუნქციონირებადი სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი ორგანიზაციული სტრუქტურები და პლატფორმები (აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები)

ადგილობრივი პარტნიორების ჩართულობა და შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების თანამშრომლობა ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობასთან სოფლის განვითარების ინტერვენციების იდენტიფიკაციისა და დაგეგმვის პროცესში, მნიშვნელოვანია ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისთვის. ამ ამოცანის ეფექტურად განხორციელება სხვადასხვა მექანიზმით არის შესაძლებელი, თუმცა აჭარაში უკვე ფუნქციონირებს აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებები და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები, რომელთა საშუალებით ადგილობრივად ქვემოდან ზემოთ მიმართული მიდგომა ხორციელდება. სოფლის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურების, კერძოდ კი აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების გაძლიერება.

8.3.2.1 ღონისძიება – ტექნიკური და საგრანტო დახმარების გაწევა აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შემდგომი შესაძლებლობების განვითარებისთვის, ორგანიზაციული და სამოქალაქო საზოგადოებაში ჩართულობისა და თემებში სოციალურ და საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებისთვის

8.3.2.2 ღონისძიება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის განვითარების საბჭოს შესაძლებლობების შემდგომი განვითარება ევროკავშირის ქვეყნების შესაბამის ინსტიტუციებთან თანამშრომლობის გზით.

9. რისკების შეფასება

9.1 ინსტიტუციური დონე

აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ სამუშაო მექანიზმი დააფუძნა სოფლის განვითარების საბჭოს სახით, რომელიც საშუალებას აძლევს შესაბამის პარტნიორებს მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე დიალოგში, განხილვაში, კონსულტაციებსა და დაგეგმვაში, რათა სოფლის განვითარების პროგრამების განხორციელებას ხელი შეუწყოს. აღნიშნული მექანიზმი ყველა მონაწილე მხარის ჩართულობას და ინკლუზიურ პროცესს უზრუნველყოფს. სოფლის განვითარების საბჭოს თავმჯდომარეა სოფლის განვითარების მინისტრი. სოფლის განვითარების საბჭოს წევრებს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პრიორიტეტების დასაბუთება ევალებათ სტრატეგიის წარმატებით განხორციელების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების კომპეტენციების, როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა და მათ შორის აქტიური და კოორდინირებული თანამშრომლობის უზრუნველყოფა. სტრატეგიული სამოქმედო გეგმის განვითარების ეტაპზე შესაძლებელია წარმოიქმნას გარკვეული პრობლემები, რომელთა მყისიერი გადაჭრა შესაძლებელია კომპეტენციების ეფექტური განაწილების შემდეგ.

9.2 პოლიტიკური რისკები

რეგიონში არსებულმა გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ (აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები) შესაძლოა გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედოს სტრატეგიის განხორციელებასა და მისი მიზნების მიღწევაზე, თუმცა ამის რისკი დაბალია. მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელი ფრენების აკრძალვა რუსეთიდან საქართველოში ის შემთხვევაა, რომელმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, როგორიცაა აჭარა, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტურიზმის მზარდ სექტორზე. გარდა ამისა, 2020 წლის არჩევნები ასევე რისკის შემცველია სოფლის განვითარების პროგრამის განხორციელებისთვის, თუმცა ეს რისკი დაბალია.

9.3 ეკონომიკური რისკები

ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი, ეკონომიკური არასტაბილურობა, საერ-თაშორისო სავაჭრო ურთიერთობების შესაძლო გართულება, დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა, სოფლის მოსახლეობის სუსტი სამეწარმეო უნარ-ჩვევები, სოფლის ტერიტორიების არასაკმარისი ეკონომიკური დივერსიფიკაცია, ფინანსურ რესურსებზე და თანამდროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურა, შესაძლებელია იყოს პოტენციური რისკი სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ამასთან, ბოლო პერიოდში სამთავრობო პოლიტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ინვესტიციებს გამოჰყოფს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის; ეს ხელს შეუწყობს ამ სექტორის წინსვლას, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის. აღნიშნული რისკი დაბალია.

ეს სექტორი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე. გარდა ამისა, არსებობს გარკვეული მავნებლების/დაავადებების გავრცელების რისკი. შესაძლებელია მნიშვნელოვანი განსხვავებები იყოს წარმოდგენილ ფაქტობრივ და პროგნოზირებულ მონაცემებს შორის, რამდენადაც ეს შეფასებები დროის მონაკვეთს, მიმდინარე აქტივობებს ემყარება და მიმდინარე ტენდენციებს ითვალისწინებს.

9.4 სოციალური რისკები

ითვლება, რომ სოციალური და დემოგრაფიული რისკები დაბალსა და ზომიერს შორის მერყეობს. ბათუმის ტერიტორიულმა სიახლოვემ მთიანი რაიონების უმეტესობასთან შესაძლებელია შეამციროს მიგრაცია, რადგან 1-2 საათის გზა სირთულედ არ ითვლება, თუნდაც მოხდეს მგზავრების რაოდენობის გაზრდა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები გაზრდილი მიგრაციისა და ასაკოვანი მოსახლეობის პრობლემის წინაშე დგას, შესაძლებელია, რომ ინფრასტრუქტურის და სერვისების გაუმჯობესებამ ხელი შეუწყოს ამ პრობლემის შემცირებას. მთიან რაიონებთან კავშირის გაუმჯობესებამ, ინფრასტრუქტურის განვითარებამ და ვიზიტორების რაოდენობის ზრდამ შესაძლებელია გარკვეულწილად შეამციროს ამ რაიონებიდან მიგრაცია. სოფლის განვითარება ჯანსაღ და ახალგაზრდა მოსახლეობაზე არის დამოკიდებული და ნებისმიერი არასასურველი დემოგრაფიული დინამიკა, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება და მიგრაცია, გამოწვევას წარმოადგენს როგორც სოფლის, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. სერვისების და მათი მიწოდების გაუმჯობესებამ შესაძლებელია ეს პრობლემა შეამციროს. სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ტურიზმის განვითარება, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობის გაზრდას. სოფლის განვითარების საბჭო მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ და ამ მიზნის მიღწევისთვის მნიშვნელოვანია აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების და ადგილობრივი განვითარების ჯგუფების როლი. სტრატეგიის ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის დაბალმა ინფორმირებულობამ შესაძლებელია პოტენციური ბენეფიციარების დაბალი ჩართულობა გამოიწვიოს სტრატეგიის განხორციელების პროცესში.

9.5 ფინანსური რისკები

ითვლება, რომ ფინანსური რისკები, რომლებიც სოფლის განვითარებასთან არიან დაკავშირებული, დაბალიდან საშუალომდე მერყეობენ. საქართველოს მთავრობა ბოლო წლების მანძილზე დიდ ძალისხმევას ხარჯავს სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით მისი პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის; ასევე, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას. როგორც ეროვნული, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური რესურსები ძალიან მნიშვნელოვანია სტრატეგიის წარმატებული და ეფექტური განხორციელებისთვის.

ფონდების ჩარიცხვის, მართვის და გადახდის მექანიზმი სოფლის მეურნეობის პროგრამების განხორციელების, ასევე დაფინანსების და ევროკავშირის სოფლის განვითარების პროგრამების განხორციელების მექანიზმებს უნდა შეესაბამებოდეს. ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მმართველი ორგანოსა და გადამხდელი სააგენტოს შექმნა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკა უნდა შეეცადოს, რამდენადაც შესაძლებელია, შესაბამისობაში იყოს საქართველოს ფინანსთა და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში მიღებული დაფინანსების მექანიზმთან. ამ შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკას შესაძლებელია ჰქონდეს მმართველი ორგანოსა და გადამხდელი სააგენტოს ფილიალები.

ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანი იქნება სოფლის განვითარებისთვის აუცილებელი რესურსების განაწილების უზრუნველყოფისთვის. უფრო ძლიერი სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება, გაზრდილი კონკურენტუნარიანობა და უკეთესი საბაზრო კავშირები, სოფლის მეურნეობის და სხვა სახის საწარმოების და აქტივობების დივერსიფიკაცია, ტურიზმის განვითარება და ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ფინანსური რისკების შემცირებას. ასევე, საერთაშორისო დონორების მიერ განხორციელებული ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც სავარაუდოდ გაგრძელდება, ფინანსურ რისკებს შეამცირებს. დაფინანსების ნებისმიერი შემცირება, რომელიც აუცილებელია სოფლის განვითარების სტრატეგიის პროგრამებისა და აქტივობების განხორციელებისთვის, ამ სტრატეგიის ეფექტურ განხორციელებას შეაფერხებს.

9.6 გარემოსდაცვითი რისკები

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი რისკების დიდი ნაწილი თემების, ადგილობრივი და ეროვნული მთავრობის კონტროლს მიღმაა, კატასტროფების რისკების კონტროლი და შემცირება თემების თუ ადგილობრივი და ეროვნული მთავრობის კონტროლს ექვემდებარება. ამ თვალსაზრისით, სტრატეგიის ფარგლებში უნდა მოხდეს რისკის შემცირების ღონისძიებების გათვალისწინება, რამაც შეიძლება შეამციროს ეს რისკები. კლიმატის ცვლილება, წყალდიდობები, მეწყერი, ხანძრები და სხვა პოტენციური ეკოლოგიური კატასტროფები ხელს შეუშლის სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებას. ეკოლოგიური საკითხებისა და საფრთხეების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, კარგი სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური გამოცდილებების დანერგვა და სავარგულების რაციონალური გამოყენება ეკოლოგიურ რისკებს შეამცირებს. ამ თვალსაზრისით, მოსახლეობაში ეკოლოგიური საკითხების შესახებ არასაკმარისი ცოდნის დონე სოფლის ეკოლოგიაზე უარყოფითად აისახება.

10. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგის ინდიკატორები, რომლებიც უნდა განვითარდეს უკვე არსებული, ENPARD-ის მიერ მოწონებული მონიტორინგის, შეფასებისა და კოორდინაციის სისტემის საფუძველზე, არსებულ მტკიცებულებებსა და მონაცემებს უნდა ემყარებოდეს და დაკავშირებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების გეგმის სტრუქტურასა და მიზნებთან. ეს შესაძლებელს გახდის სტრატეგიის პროგრესის და ეფექტურობის შეფასებას წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიმართ. სასურველია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინდიკატორები შესაძლებლობების ფარგლებში ეროვნული სტრატეგიის ინდიკატორებს შეესაბამებოდეს. ამისთვის აუცილებელია თბილისსა და ბათუმს შორის უწყვეტი თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონიტორინგის და შეფასების წარმატებული განხორციელება.

შეფასება უნდა მოხდეს პროგრამის განხორციელებამდე და მას შემდგომ. შედეგების საფუძველზე უნდა განისაზღვროს, მიაღწია თუ არა პროგრამამ დაგეგმილ მიზნებს და ხელი შეუწყო თუ არა სტრატეგიის ხედვის განხორციელებას. სოფლის განვითარების საბჭოს მოვალეობას წარმოადგენს ამ პროცესის კოორდინირება, რომელმაც გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან (თბილისი) თანამშრომლობის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს შეფასების განხორციელების გამჭვირვალობა და შესაბამისობა ეროვნულ სტრატეგიასთან.

10.1 მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემა

2018 წლის თებერვალში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭომ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგია (2016-2020), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმა (2018-2020) და მონიტორინგის და შეფასების ელექტრონული სისტემა. ეს სისტემა სავალდებულოა თითოეული სამინისტროსა და შესაბამისი ორგანიზაციებისთვის, რათა მისი საშუალებით სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონაცემები აკონტროლონ. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მომხმარებლები არიან ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორიცაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აგრო სერვისის ცენტრი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ტურისტული პროდუქტის განვითარების სააგენტო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი; გარემოს დაცვის დეპარტამენტი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო; სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო სააგენტო; სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრი; და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი «სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში».

ეს სისტემა საშუალებას აძლევს სამინისტროებსა და ორგანიზაციებს ატვირთონ ინფორმაცია და სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის და სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის ამოცანებისა და აქტივობების მონაცემების და ბიუჯეტების მონიტორინგი განახორციელონ.

მონიტორინგის და შეფასების სისტემას აქვს შესაძლებლობა თითოეული პრიორიტეტის და მიზნისთვის ბიუჯეტის თითოეული მუხლის და შესაბამისი ინდიკატორის მონაცემები გააანალიზოს და თითოეული აქტივობა შეამოწმოს მთელი რიგი პარამეტრების საფუძველზე. ეს პარამეტრებია:

- ბიუჯეტის დაგეგმილი და ფაქტობრივი ხარჯვა და მდგომარეობის განახლება;
- ბიუჯეტის და ინდიკატორების ფაქტობრივი შესრულება და მათი მდგომარეობა;
- გამოყენებული ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებელი, მონაცემების მონიტორინგი და ინდიკატორის განხორციელების პროცენტული მაჩვენებლის განაწილება;
- ინფორმაცია ბენეფიციარების, სქესის, ასაკის, ახალგაზრდობის შესახებ და ა.შ.
- დიაგრამებისა და ინფორმაციის სისტემების შედგენის შესაძლებლობა თითოეული პრიორიტეტისა და დასრულებული საქმიანობისთვის.

ცხრილი 5. მიზნის/გავლენის ინდიკატორები

სტრატეგიული მიზნები	ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი
მიზანი 1 – სოფლის უფრო დივერსიფიცირებული ეკონომიკა, პროდუქტიული და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა, გაძლიერებული კავშირები ბაზრებთან, რაც სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის მდგრად საარსებო წყაროებს უზრუნველყოფს.	სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (პირველადი და გადამუშავება)[1]	145 მლნ ლარი (2017)	200 მლნ ლარი (2027)
	აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი [2]	13 621 886 აშშ დოლარი (2018)	30 000 000 აშშ დოლარი (2027)
	შინამეურნეობის საშუალო ყოველთვიური შემოსავლები გაანგარიშებული ერთ შინა-მეურნეობაზე სოფლად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. [1]	1138.3 ლარი (2018)	1500.0 ლარი (2027)
მიზანი 2 – გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ფერმერული და არა ფერმერული შემოსავლების გენერირება და დივერსიფიცირება	აჭარის დაცული ტერიტორიე-ბის ვიზიტორების რაოდენობა[3]	122 000 ვიზიტორი (2019)	250 000 ვიზიტორი (2027)
	ტყის ფართობი, რომელიც იმართება ტყის მართვის გეგმის მიხედვით [5]	150 117 ჰა (2019)	150 117 ჰა (2027)
	დასაქმებულთა რაოდენობა სოფლად [6]	დაზუსტდება 2021 წლის 1 კვარტალში	დაზუსტდება 2021 წლის 1 კვარტალში
	სასოფლო ტურიზმის საწარმოების რაოდენობა [4]	342 ერთეული (2019)	1200 ერთეული (2027)
მიზანი 3 – *აქტიური და მდგრადი თემები, რომ-ლებიც ჩართულნი არიან დაგეგმვასა და პროგრამების განხორციელებაში, გაუმ-ჯობესებული წვდომით ინფრასტრუქტურაზე, მომ-სახურებებზე და ადგილობ-რივ ინსტიტუციურ სტრუქ-ტურებზე, როგორებიცაა სრულად ფუნქციონალური* ადგილობრივი განვითარე-ბის ჯგუფი (LAG) და აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრი-ვი გაერთიანება (AMAG)	ამაგების მიერ წარმოდგენილი და სამინისტროს პროგრამებში გათვალისწინებული ინიციატივების პროცენტული შეფარდება	70% (2019)	90% (2027)
	მოქმედი აქტიურ მოქალაქე-თა ადგილობრივი გაერთი-ანებების (AMAG) რაოდენობა, რომლებსაც წვლილი შეაქვთ თემის განვითარებაში	46 (2018)	46 (2027)
	მომხმარებლისა და მეწარმე-ების ცნობადობის ამაღლებას-თან დაკავშირებული ღონისძი-ებების რაოდენობა	დაზუსტდება 2021 წლის 1 კვარტალში	დაზუსტდება 2021 წლის 1 კვარტალში

საქტსტატი, აჭარის საშუალო მონაცემები, https://www.geostat/regions/#

[1] მონაცემები ითვლება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით.
[2] მონაცემები ითვლება აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ანგარიშებზე დაყრდნობით.
[3] მონაცემები ითვლება საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით.
[4] მონაცემები დათვლილია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით (მასში შესულია საოჯახო სასტუმროები და საოჯახო ღვინის მარნები).
[5] მონაცემები ითვლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინფორმაციაზე დაყრდნობით.
[6] მონაცემები დაითვლება აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

გამოყენებული წყაროები

1. Matteo Borzoni, Structural issues of Agriculture in Ajara, Study co-financed by the EU through its European Neighborhood Programme for Agriculture & Rural Development (ENPARD) December 2014,
2. Steven Goss, Ajara Agriculture sector Competitiveness and export promotion policy study, ENPARD, January 2014
3. Ciarron Gannon, Rural Development Strategy of Ajara 2016-20, Support to Agriculture Development in Ajara AR Project funded by EU and Ajara Government and implemented by UNDP, March 2016
4. Rural development strategy of Georgia 2017-2027
5. Improving Rural Development in Georgia ENPARD III document, Jan 2018-November 2022
6. Final Report Evaluation ENPARD 1 March 2013-2017, December 2017
7. Geo CSE draft final report, volume 1 Evaluation of the EU's co-operation with Georgia (2007-2013)
8. Khulo Local Development Strategy, Local Action Group, ENPARD, 2018-2022, June 5th
9. Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia, Agriculture and Rural Development Strategy of Georgia 2021 – 2027, April 25 th 2019
10. Ministry of Environmental Protection and Agriculture, Improving Rural Development in Georgia, ENPARD III, January 2018.